სახელმძღვანელო რეკომენდაციები ადვოკატებისათვის მოსამართლეთა დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებულ გამოწვევათა შესახებ

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

კვლევა მომზადდა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ექსპერტების მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან კვლევის ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის:

- მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე - **ლოლა კურკუმული**

- ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე - **ელენე სიჭინავა**

სარჩევი

შესავალი და მეთოდოლოგია 1

ნაწილი I: დისციპლინური სამართალწარმოებისთვის მიმართვა, პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევები და მისი ანალიზი 3

თავი 1. საკანონმდებლო ჩარჩო 3

თავი 2. დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია 9

2.1. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მიღებული საჩივრების რაოდენობა და შედეგები 10

2.2. საკვლევ პერიოდში წარმოდგენილი საჩივრების სახეები 10

2.3. სტატისტიკა საანგარიშო პერიოდში წარდგენილი საჩივრების, სამსახურის მიერ მომზადებულ და განხილულ დასკვნათა რაოდენობის შესახებ 11

2.4. სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესახებ 13

2.5. სტატისტიკა – საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა და შედეგები 14

თავი 3. პრაქტიკაში არსებული გამოწვევანი და მიგნებანი 14

დასკვნა 17

შემუშავებული რეკომენდაციები 18

ნაწილი II: დისციპლინურ გადაცდომათა კომენტარები 20

შესავალი და მეთოდოლოგია

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.[1] საქართველოში მოქმედი ყველა მოსამართლე ხელშეუხებელია, დაუშვებელია მათზე რაიმე სახით ზემოქმედება ან მათ საქმიანობაში ჩარევა. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობა სრულად თავისუფალი და უკონტროლოა. არამედ მათი პროფესიული ქცევის სტანდარტები კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონმდებლობით არის დადგენილი და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილე ყველა რგოლის, მათ შორის ადვოკატების, ინფორმირება მოსამართლეების პროფესიული ქცევის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკაში მისი განხორციელების მექანიზმების შესახებ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები ხშირად აღნიშნავენ მოსამართლეთა არასათანადო ქცევას. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მოსამართლეების მიერ პროფესიული სტანდარტების შესაძლო დარღვევისა თუ გადაცდომისას ადვოკატები აღჭურვილნი იყვნენ შესაფერისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც ეხება მათ ხელთ არსებული დისციპლინური წარმოების დაწყებისა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას. შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, იმ პროფესიული გაერთიანებისთვის, რომლის მიზანი საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა და იურიდიული პროფესიის განვითარებაა, მნიშვნელოვანია იმ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში გამოკვეთილ გამოწვევებს წარმოადგენს და ხელს შეუწყობს ადვოკატთა ინფორმირებულობის გაზრდასა და ცნობიერების ამაღლებას ამ კუთხით არსებულ მექანიზმებსა და მათს ეფექტურად გამოყენებაზე.

სწორედ ამისათვის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივითა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით შეიქმნა წინამდებარე სახელმძღვანელო, რომლის მიზანია თვალსაჩინო გახადოს საქმის მწარმოებელ პირველ რგოლთან დაკავშირებული დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევები და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ადვოკატების ცოდნის ამაღლებას მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და მათთან დაკავშირებით დისციპლინური სამართალწარმოებისთვის მიმართვის შესახებ.

[1] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი.

კვლევის პროცესი შემდეგი მეთოდებით განხორციელდა: ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი; საერთაშორისო სტანდარტების კვლევა და ანალიზი; მეორადი წყაროების ანალიზი; ორი ინტერვიუ დამოუკიდებელ ინსპექტორთან; სამი ინტერვიუ ადვოკატების სამ ჯგუფთან, რომლებშიც სულ 26 ადვოკატი მონაწილეობდა; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან; დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციის შესწავლა, რაც გულისხმობს შემდეგს: ადვოკატების საჩივრებზე დაყრდნობით დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტისა და ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ, ინფორმაცია სამსახურის მიერ პრაქტიკაში არსებულ გამოწვევათა შესახებ და სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე შესწავლილია დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020, 2021, 2022 და 2023 წლების პირველი კვარტლის ანგარიშები. ჩამოთვლილი ასახულია წინამდებარე დოკუმენტში. გარდა ამისა, შესწავლილია სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხილულ საქმეთა შესახებ და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობისა და შედეგების შესახებ.

დოკუმენტი ორი ნაწილისგან შედგება, ამათგან პირველი ნაწილი, რომელიც დისციპლინური სამართალწარმოების პროცესსა და მასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის მიმოხილვასა და ანალიზს ეხება, წარმოაჩენს სახელმწიფო საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკას ამ მიმართულებით; მეორე ნაწილი კი ეთმობა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომათა განმარტებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს ეყრდნობა. აღნიშნული მიზნად ისახავს ადვოკატთა ცნობიერების ამაღლებას, ერთი მხრივ, ეს ეხება იმას, თუ როგორ განიმარტება პრაქტიკაში მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომანი და, მეორე მხრივ, რა საერთაშორისო სტანდარტებია ამ კუთხით დადგენილი. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი გამოწვევების აღმოფხვრას.

ავტორი: ლოლა კურკუმული

ნაწილი I: დისციპლინური სამართალწარმოებისთვის მიმართვა, პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევანი და მათი ანალიზი

თავი 1. საკანონმდებლო ჩარჩო

მოსამართლეთა ქცევის წესების უნივერსალური სტანდარტები ბანგალორის მოსამართლეთა ქცევის კოდექსით არის დადგენილი. დოკუმენტი, რომელიც 2001 წელს არის შემუშავებული მოსამართლეთა კეთილსინდისიერების განმტკიცების სასამართლო ჯგუფის მიერ, უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე 2002 წლის ნოემბერში წარადგინეს. 2006 წლის 27 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ კენჭისყრის გარეშე მიიღო რეზოლუცია 2006/23: „მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების განმტკიცება“. ბანგალორის პრინციპები სასამართლო ხელისუფლების ექვს ძირითად ღირებულებას განსაზღვრავს, ესენია: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, სამართლიანობა, თანასწორობა, კომპეტენცია და შრომისმოყვარეობა. დოკუმენტი ადგენს მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტებს, წარმოადგენს სახელმძღვანელო წესებს და ერთგვარ ჩარჩოს მოსამართლის მოვალეობათა შესრულებისას. ის აგრეთვე შექმნილია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრების, იურისტების, ზოგადად, ფართო საზოგადოების დასახმარებლად, მოსამართლის როლის მართებულად გასაგებად, რომ არ იყვნენ მოკლებული შესაბამის მოლოდინსა და მოთხოვნას. ბანგალორის პრინციპები იმ სტანდარტს გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება სასამართლო სექტორის წარმომადგენელთა პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

საქართველოში მოსამართლეთა დისციპლინური დევნის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის XIII[1] თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დამტკიცდება, რომ მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინა. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური გადაცდომის სახეები ჩამოყალიბებულია ამავე კანონის 75[1]-ე მუხლში.

> „2. მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას

ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის.
3. დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.
4. განზრახ დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე აცნობიერებდა მისი ქმედებით ზიანის დადგომის შესაძლებლობას.
5. გაუფრთხილებლობით დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომლის ჩადენისას მოსამართლე არ ითვალისწინებდა მისი ქმედებით ზიანის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა ის.
6. მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება ან/და გამოყენება, რასაც საფუძვლად უდევს მისი შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.
7. დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.
8. დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება:
ა) ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ:
ა. ა) მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით;
ა. ბ) მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით;
ბ) ქმედება, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს, კერძოდ:
ბ. ა) მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე. ამასთანავე, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება მოსამართლის მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით ამ საქმესთან დაკავშირებული საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხების განმარტება;
ბ. ბ) მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
ბ. გ) მოსამართლის მიერ ამ კანონის 72^1 მუხლის პირველი პუნქტის ან 72^2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა;
ბ. დ) მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი;
ბ. ე) მოსამართლის პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრება, მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, საარჩევნო სუბიექტის ნებისმიერი ფორმით საჯაროდ მხარდაჭერა ან პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა;
ბ. ვ) მოსამართლის მიერ სასამართლოში საქმეთა განაწილებაში უკანონო ჩარევა;

ბ.ზ) მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით.
გ) ქმედება, რომელიც არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, კერძოდ:
გ. ა) მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 52-ე, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 134-ე, 135-ე ან 204-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა;
გ. ბ) მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.
დ) ქმედება, რომელიც არღვევს წესიერების პრინციპს, კერძოდ:
დ. ა) მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილისთვის უპირატესობის მინიჭებას, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია მხარის შესახებ;
დ. ბ) მოსამართლის მიერ სექსუალური შევიწროების განხორციელება;
დ. გ) მოსამართლის მიერ სასამართლოს თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება;
ე) ქმედება, რომელიც არღვევს თანასწორობის პრინციპს, კერძოდ:
ე. ა) სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით;
ე.ბ) სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედებისა, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.
ვ) ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ:
ვ. ა) მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ დაიცვა;
ვ. ბ) მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა;
ვ. გ) სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია;

ვ. დ) მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
ზ) მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას)".[2]

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლები გაწერილია „საერთო სასამართლოების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის 75[5]-ე მუხლში: „მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიზეზი შეიძლება იყოს:
ა) ნებისმიერი პირის საჩივარი ან განცხადება, გარდა ანონიმური საჩივრისა ან განცხადებისა;
ბ) სხვა მოსამართლის, სასამართლოს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ან აპარატის მოხელის მოხსენებითი ბარათი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ;
გ) გამოძიების ორგანოს შეტყობინება;
დ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ან/და წინადადებაში მოცემული ინფორმაცია მოსამართლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს".

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების კონკრეტულ მიზეზზე – „საჩივარი ან განცხადება, გარდა ანონიმური საჩივრისა ან განცხადებისა"[3], რომლის წარდგენის უფლება, კანონის თანახმად, აქვს ნებისმიერ პირს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა დისციპლინური საჩივრის (განცხადების) ფორმა და 2012 წლის 01 სექტემბრიდან დისციპლინური საჩივარი (განცხადება) უნდა წარუდგინონ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე იუსტიციის საბჭოს კანცელარიაში[4] და დამოუკიდებელი ინსპექტორის ვებგვერდზე. კანონის დათქმიდან გამომდინარე, საჩივარი/განცხადება შეიძლება, წარადგინონ როგორც მატერიალურად, ისე

[2] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის 75[1] მუხლი.
[3] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის 75[5]მუხლის 1 პუნქტი.
[4] http://hcoj.gov.ge/ka

ელექტრონული ფორმით. მნიშვნელოვანია, რომ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შეუსაბამო საჩივრის (განცხადების) წარდგენა არ შეიძლება გახდეს მის მიღებაზე (რეგისტრაციაზე) უარის თქმის საფუძველი“.[5]

პირის მიერ წარდგენილი საჩივარი (განცხადება) მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის შესახებ საქმის წარმოების პირველ ეტაპს გაივლის დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში.

დამოუკიდებელი ინსპექტორის (შემდგომში „ინსპექტორი“) ინსტიტუტი საერთო სასამართლოების სისტემაში 2017 წლის 8 თებერვლიდან არსებობს, როცა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილები განხორციელდა და მას „მიენიჭა უფლებამოსილება საქართველოს იუსტიციის საბჭოსგან დამოუკიდებლად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისა და დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმება/გამოკვლევის უფლებამოსილება“.[6]
შემდგომში ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები, რამაც დაარეგულირა მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების საკითხები.
„დამოუკიდებელ ინსპექტორს კონკურსის საფუძველზე 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით“.[7]
კანონის განსაზღვრებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნის მთავარი მიზანი სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის შესახებ წარდგენილი ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმება და საქმის წინასწარი მოკვლევაა, რის განსახორციელებლადაც ინსპექტორს უფლება ენიჭება გამოიყენოს სამოქალაქო რეესტრის, საჯარო რეესტრის, ნოტარიუსთა პალატის, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ბაზები. იგი უფლებამოსილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, „ხოლო სახელმწიფო საზღვრის კვეთის, ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის სარეგისტრაციო

[5] იქვე 75[5]-ე მუხლის 2 პუნქტი.
[6] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://dis.court.ge/work/
[7] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51[1]-ე მუხლი.

მონაცემები მოიძიოს უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომატიზებული საძიებო რესურსის მეშვეობით“.[8]

დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით მოიწვიოს ნებისმიერი პირი და მოისმინოს მისი ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის შეზღუდული, მას შეუძლია მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლად გამოიყენოს თავის მიერ წინასწარი მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტები, რომლებიც არ იყო ცნობილი დისციპლინური გადაცდომის შესახებ ინფორმაციის წარმდგენისაგან.

დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს საქმის წარმოება ან წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის შედეგები საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასაბუთებული დასკვნისა და მოსაზრებების სახით წარუდგინოს.
„აღნიშნული პროცედურის განხორციელებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს“.[9]

დისციპლინური საქმისწარმოება გაივლის შემდეგ ეტაპებს:



ინსპექტორის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ორგანული კანონით განსაზღვრულ ერთთვიან საერთო ვადაში ამოწმებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და „სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და

[8] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{7} მუხლის 1^{1} პუნქტი.
[9] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75^{7}.1. მუხლი.

მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ“. ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იმავე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ეყრდნობა, რომელსაც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და, თუ აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, დისციპლინური წარმოებაც შეწყდება.
[10]

დისციპლინური საქმის წარმოების შემდგომ ეტაპზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ[11] და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში ნიშნავს თავის წარმომადგენელს საქმის განხილვის დროს დისციპლინური ბრალდების მხარდასაჭერად“. ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს [12], რომელიც მტკიცებულებათა უფრო მაღალი სტანდარტია.[13]
ამ ეტაპიდან საქმე იხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში, რომელშიც დისციპლინური ბრალმდებლისა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მონაწილეობა სავალდებულოა.[14]

სადისციპლინო საქმის წარმოების ბოლო ეტაპი უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაა, რომელშიც საქმე რომელიმე მხარის მიერ საჩივრის წარდგენის საფუძველზე განიხილება, და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლება აქვს მინიჭებული.

თავი 2. დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია

---

[10] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{8} მუხლი.

[11] იქვე მუხლი 75^{13}

„დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის ამ კანონის 75^{10} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება“.

[12] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{14} მუხლი.

[13] იქვე მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი; „ალბათობის მაღალი ხარისხი – ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ დისციპლინურ საქმეზე შეფარდებული იქნება შესაბამისი სახდელი“.

[14] იქვე 75^{35} მუხლი.

საკვლევი პერიოდი – 2020-2023 წლის 1-ელი კვარტალი

2.1. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მიღებული საჩივრების რაოდენობა და შედეგები:

	პერიოდი	საჩივრის რაოდენობა	ფორმის დაუცველი წერილი	ადვოკატების მიერ წარმოდგენილი საჩივრები	ადვოკატების წარდგენილი საჩივრების საერთო რაოდენობა	საჩივრების საერთო რაოდენობა
1	2020	151	72	55		
2	2021	156	74	48		
3	2022	205	125	80		
4	2023 წლის I კვარტალი	69	26	18		
					201	581

[15] [16]

2.2. საკვლევ პერიოდში წარმოდგენილი საჩივრების სახეები:

საკვლევ პერიოდში ადვოკატების მიერ წარდგენილია 201 საჩივარი, რომლებიც ეხებოდა დისციპლინური გადაცდომის შემდეგ სახეებს:

• საპროცესო ვადის არსებითი დარღვევა – 119 შემთხვევა
• პირადი ინტერესით სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება – 32
• უპატივცემულობის გამოხატვა – 21
• მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება – 20
• აცილებაზე უარის თქმა – 13
• საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება – 3
• დისკრიმინაციული ქმედება – 3
• სხვისი მხრიდან პროცესის მონაწილის შეურაცხყოფა – 3
• საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენა – 2
• მეგობრული ურთიერთობის დამყარება – 1
• კორუფციული სამართალდარღვევა – 1

[15] დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშები 2020, 2021,2022 და 2023 წლების I კვარტალი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://dis.court.ge/

[16] დამოუკიდებელი ინსპექტორის წერილები: N450/257-03 (02.08.2023 წ.)და N379/196-03 (09.06.2023 წ.)

სულ შესაძლო გადაცდომის სახე – 218 [17]

განმცხადებელი არ იზღუდება ერთ საჩივარში ერთი მოსამართლის მიმართ რამდენიმე სავარაუდო დისციპლინურ დარღვევაზე აპელირებით, ამის გამო ხდება, რომ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომანი ზოგ შემთხვევაში რიცხობრივად ადვოკატების მიერ წარდგენილი საჩივრების რაოდენობას აღემატება.

დამოუკიდებელი ინსპექტორიც და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოც უფლებამოსილნი არიან, თავიანთი გადაწყვეტილებით ერთ წარმოებად აქციონ ერთი მოსამართლის მიმართ სხვადასხვა საფუძვლით წარმოებული ორი ან ორზე მეტი დისციპლინური საქმე. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ განხილულ საქმეთა რაოდენობა სამსახურში შესული საჩივრების ტოლი არ იყოს.[18]

2.3. სტატისტიკა საანგარიშო პერიოდში წარდგენილი საჩივრების, სამსახურის მიერ მომზადებული და განხილული დასკვნების რაოდენობის შესახებ

ადვოკატთა მიერ წარდგენილი 201 საჩივრის საფუძველზე დასკვნა მომზადდა	156 საჩივარზე
ადვოკატთა მიერ წარდგენილ საჩივრებზე დადგენილი ხარვეზი	6 საჩივარი
ადვოკატთა მიერ წარდგენილ საჩივრებზე სამართალწარმოება შეწყდა	32 საჩივარი
ადვოკატების წარდგენილი საჩივრები გაერთიანდა ანალოგიური შინაარსის საჩივრებთან	13 საჩივარი
დამოუკიდებელმა ინსპექტორმა საანგარიშო პერიოდში სულ განიხილა	405 საჩივარი

[17] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 11
„შემოსული საჩივრებისა და წინასწარი მოკვლევის შედეგები ერთმანეთისგან რაოდენობრივად განსხვავდება. განსხვავებას რამდენიმე გარემოება განაპირობებს, კერძოდ: ერთი საჩივარი ზოგ შემთხვევაში შეიძლება წარდგენილი იყოს რამდენიმე მოსამართლის მიმართ, გადაწყვეტილებები კი მიიღონ ინდივიდუალურად, თითოეული მოსამართლის მიმართ. შესაბამისად, საჩივრების რაოდენობაც განსხვავდება მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობისგან. ამასთან, ზოგიერთი საჩივარი შეიცავს ინფორმაციას როგორც შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის, ასევე მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერების შესახებ. მსგავს საჩივართა გამო სამართალწარმოება იყოფა, დისციპლინური სამართალწარმოება წყდება ნაწილობრივ მხოლოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 7512 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო საჩივრებში მითითებულ სავარაუდო გადაცდომებზე კანონით დადგენილი წესით გრძელდება დისციპლინური სამართალწარმოება და საქმის გარემოებათა წინასწარი მოკვლევა. მოკვლევის შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორი შესაძლო დისციპლინურ გადაცდომებზე ამზადებს დასკვნებს“.
[18] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^9 მუხლი.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა მოამზადა	381 დასკვნა
საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა დამოუკიდებელი ინსპექტორის	301 დასკვნა[19]

საკვლევი პერიოდის განმავლობაში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა შერჩევითობის პრინციპის დაცვით შეარჩია და მოგვაწოდა ადვოკატების მიერ წარდგენილი საჩივრების შედეგად საქმეზე მიღებული რვა გადაწყვეტილება, რომელთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა უმთავრესად ხდება „კანონიერების შემოწმების ნაწილში“,[20] რაც გულისხმობს, რომ საჩივრის ავტორს სადავოდ მიაჩნია მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. დამოუკიდებელი ინსპექტორის №112/21 (თარიღი 03.12.2021 წ.) გადაწყვეტილების შესაბამისად გამოკვეთილია საჩივრის ავტორის 05 პრეტენზია, რომელთაგან პირველი სამი ეხება შემდეგს:

„1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმის სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, კერძოდ, მოსამართლემ არასწორად მიუთითა სადავო უძრავი ქონების ფართი; 1.2. საჩივარში მითითებულია ისიც, რომ მოსამართლემ რეაგირება არ მოახდინა იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც მათ მიერ იყო წარდგენილი და არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მტკიცებულების სახით ჰქონდა მხარეს წარმოდგენილი; 1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მესამე პირად ჩართო ის პირები, რომლებზეც მის მიერ გამოყენებული კანონი არ ვრცელდება“.[21] ამ ნაწილში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დისციპლინური სამართალწარმოება შეწყვიტა და განმარტა, რომ „კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან ის არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შესამოწმებლად დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია“.

დამოუკიდებელი ინსპექტორი ასეთი ტიპის გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას, ეროვნული კანონმდებლობის გარდა, მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას „(ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80)“, რომლის შესაბამისად, „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ

[19] სტატისტიკის წყაროა დამოუკიდებელი ინსპექტორის N450/257-03 (02.08.2023 წ.)და N379/196-03 (09.06.2023) წერილები.

[20] დისციპლინური საქმე №112/21 (03.12.2021) ხელმისაწვდომია:file:///C:/Users/Home/AppData/Local/Temp/Rar$DIa17580.31312/distsiplinuri-saqme-112-21_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

[21] იქვე გვ 2. §1.

შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“. ასევე – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად, პალატა განმარტავს: „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“.[22]

2.4. სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესახებ

პერიოდი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები დისციპლინური	
	დევნის დაწყების შესახებ	სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ
2020	9[23]	38
2021	1	55
2022	8	115
2023 წლის I კვარტალი	10	74[24]

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საქმის წინასწარი მოკვლევისა და დასკვნის მომზადების შემდეგ დისციპლინური საქმის წარმოება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ორ ეტაპს გადის. პირველ ეტაპზე იღებენ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ, მეორე ეტაპზე კი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

[22] იქვე §3.

[23] „დამოუკიდებელი ინსპექტორის 1 დასკვნა შეიცავდა რეკომენდაციას დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუმცა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ დაეთანხმა მას და მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ“. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის ანგარიში გვ.15. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://dis.court.ge/wp-content/uploads/2021/03/tsliuri-angarishi_2020_geo-1-1.pdf

[24] დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშები 2020,2021,2022 და 2023 წლის 1 კვარტალი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://dis.court.ge/

2.5. სტატისტიკა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ განხილული საქმეების რაოდენობა და შედეგები

პერიოდი	შესული საქმე	განხილული საქმე	განხილვის შედეგი [25]	
			კერძო სარეკომენდაციო ბარათი	გამოეცხადა საყვედური
2020	2	2	1	0
2021	0	0		
2022	1	1		1[26]

წინამდებარე სახელმძღვანელოს საკანონმდებლო ჩარჩოს ნაწილში აღვნიშნეთ, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინური დევნის დაწყების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ხელმძღვანელობენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, აშკარაა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნათა რაოდენობა, რომელთა შორის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 28 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ. საქმის წარმოების მეორე ეტაპზე მოსამართლის ბრალეულობა მხოლოდ სამ საქმეზე დადგინდა. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2020-2022 წლებში მხოლოდ სამი საქმე იქნა განხილული. აღნიშნულს სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ, წარმოდგენილი სტატისტიკიდან გამომდინარე, საკითხი კვლავ ყურადღებასა და კვლევას ითხოვს, რაც აისახა კიდეც ჩვენ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში.

თავი 3. პრაქტიკაში არსებული გამოწვევები და მიგნებები

რელევანტურ აქტორებთან გასაუბრებით გამოჩნდა ალბათობა, რომ არის შემთხვევები, როდესაც საჩივარი დისციპლინური გადაცდომის შესახებ ადვოკატის შედგენილია, მაგრამ მას არ სურს წარმოების პროცესში პირდაპირი მონაწილეობა. ამ რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გამოსარკვევად დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შესული საჩივრების საერთო რაოდენობა იუსტიციის საბჭოში წარდგენილ დასკვნათა საერთო ოდენობას შევადაროთ.

[25] ხელმისაწვდომია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდზე: http://dcj.court.ge/geo.

აღმოჩნდა ბარიერი ადვოკატების მხრიდან, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დისციპლინური გადაცდომის შესახებ საქმის წარმოების წამოწყებისგან თავის შეკავების მიზეზი ხდება. გამოკითხული ადვოკატების უმეტესობის აზრით, დისციპლინური გადაცდომის შესახებ საჩივრის წარდგენას შეიძლება ადვოკატის მიმართ კონკრეტული მოსამართლის უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვეს, რაც შემდგომ კონკრეტული მოსამართლის მიერ სხვადასხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე შეიძლება აისახოს.

გამოკითხულიდან უკლებლივ ყველა ადვოკატს წლების განმავლობაში გაჭიანურებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეთა ნაკადების დიდი გამოცდილება ჰქონია. აღინიშნა კრიზისული მდგომარეობა განსაკუთრებით თბილისის, ბათუმისა და მცხეთის სასამართლოებში. მიუხედავად ამ ფაქტისა, ადვოკატების მცირე რიცხვს აღმოაჩნდა დისციპლინური საქმისწარმოების გამოცდილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი პერიოდის შესახებ ჩვენ მიერ გამოკითხული ადვოკატების ნაწილმა კმაყოფილება გამოხატა დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობის მიმართ. მათი გამოცდილების შესაბამისად, ინსპექტორის სამსახურში ხდება ხოლმე, რომ იზიარებენ განმცხადებლის მოთხოვნას, მაგრამ ასეთი ტიპის გადაწყვეტილებანი ვერ სცდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რგოლს. შესაბამისად, მათ გამოხატეს უნდობლობის მაღალი ხარისხი სადისციპლინო საქმის მწარმოებელ ორგანოთა მიმართ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა 2021 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის PROLoG-ის თანადგომით არასამთავრობო ორგანიზაციის – „უფლებები საქართველოს“ მიერ მომზადებული ანგარიში და რეკომენდაციები, რომლებშიც შესულია დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. მასში გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად 2012 წლის შემდეგ ე.წ. „მართლმსაჯულების რეფორმის ტალღების სახით“ გატარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა, „დისციპლინურმა სისტემამ საზოგადოებრივი ნდობა მაინც ვერ მოიპოვა. პროექტის მიერ გამოკითხული რესპონდენტები (ადვოკატები) ხშირად მიუთითებენ, რომ მათ არ აქვთ ნდობა დისციპლინური სისტემის მიმართ, რის გამოც ბევრი ადვოკატი თავს იკავებს დისციპლინური საჩივრის წარმოდგენისგან.

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე ხშირად გავრცელებული ორი საფუძველი, რომელთა გამოც დღემდე მხარეები დამოუკიდებელ ინსპექტორს მიმართავენ, მოსამართლის მოვალეობის ჯეროვანი შეუსრულებლობა და სამართალწარმოების გაჭიანურებაა. ამათგან პირველი საფუძველი 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებით დისციპლინური გადაცდომების სიიდან არის ამოღებული, ხოლო მეორე საფუძვლის გამო, შეიძლება ითქვას, აღარ ისჯება. სასამართლო გადატვირთულობის ფონზე საქმის გაჭიანურება, როგორც წესი, საპატიოდ ითვლება და მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებზეც

საჩივარი ამ საფუძველზე შემოდის, თავისუფლდება დისციპლინური პასუხისმგებლობისგან“.[27]

ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოწვევაა ადვოკატთა ნაკლები ინფორმირებულობა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლებისა და დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობათა თაობაზე. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში. [28]

ადვოკატების მხრიდან გამოიკვეთა მეტი ინფორმაციის საჭიროება იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა დაასაბუთონ ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის საფუძვლები. მათ ასევე სურვილი გამოთქვეს, უფრო მეტად გასაგები იყოს, მოსამართლის რომელი სადავო ქცევა მიიჩნევა დარღვევად და რომელი – არა. ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში მონაწილე პირებს ჰქონოდათ დაახლოებით ერთნაირი, მსგავსი წარმოდგენა ქმედების დისციპლინურ გადაცდომად შეფასების თაობაზე. ამ ნაწილის დასაძლევად შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი – დისციპლინური გადაცდომის კომენტარები. სწორედ ამ გამოწვევის დასაძლევად არის სახელმძღვანელოში გაწერილი რეკომენდაციები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა გაიცემა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის შემთხვევაში მისი გამოკვლევისა და წინასწარი შემოწმების შედეგად. დასკვნის გასაცემი სახელმძღვანელო სტანდარტია – დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. კანონმდებელი განგვიმარტავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს – დასაბუთებული ვარაუდი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობაა, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა.[29] ამავე სტანდარტით აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას. ჩატარებული კვლევის მიხედვით ნათელია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნათა რაოდენობა ბევრად აღემატება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებებს. ასევე მნიშვნელოვანია 2020-2022 წლებში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისათვის წარდგენილ საქმეთა სიმწირე. განხილულ იქნა სამი საქმე, ამათგან

[27] ანგარიში და რეკომენდაციები 2021 წ. გვ. 4. ხელმისაწვდომია https://drive.google.com/file/d/1S8mUnkbdyhOuVxxBe-lek2X4a-D3IZfz/view

[28] დამოუკიდებელი ინსპექტორის წერილი N379/196-03 (09.06.2023 წ.)

[29] ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 1^1 მუხლი.

ერთ საქმეზე კერძო სარეკომენდაციო ბარათი გაიცა, სხვა საქმეზე – საყვედური გამოუცხადეს, მესამე საქმეზე დამრღვევს გამოუცხადეს საყვედური[30], შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში მეტად მნიშვნელოვანი გამოწვევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რგოლის გადალახვაა. იკვეთება საჭიროება, რომ შესწავლილ იქნეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა შესაბამისად არ იყო გაზიარებული დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაცია დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ, დისციპლინური სამართალწარმოება კი შეწყდა. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს, რა გამოწვევები არსებობს საქმის წარმოების იმ ეტაპზე, როცა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხი იუსტიციის საბჭოს გადასაწყვეტია.
როგორც აღვნიშნე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის საერთო სტანდარტი არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკითხს განსხვავებულად აფასებენ. რის გამოც მივიჩნევთ, რომ საჭიროა სტანდარტის განმარტებასა და შეფასებაზე საერთო მიდგომა ჩამოყალიბდეს, რასაც ჩვენ მიერ გაწერილი რეკომენდაციების შესრულებაც შეუწყობს ხელს.

კანონმდებლობა მართლმსაჯულებას გარეშე ზეგავლენებისგან იცავს. კანონითვეა დაცული მოსამართლის დამოუკიდებლობა საქმიანობაში, კანონი განამტკიცებს მოსამართლის შინაგანი რწმენის თავისუფლებასაც, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმის საწარმოებლად სავარაუდოდ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა ადვოკატებმა ისე უნდა გამოკვეთონ, რომ მოსამართლისათვის კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები არ გადაიკვეთოს. სწორედ ამ ნაწილში საჭიროებენ ადვოკატები კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა პრაქტიკაში შეძლონ მოსამართლის ქცევის სწორი შეფასება და მტკიცებულებათა იმ სტანდარტის დაძლევა, რომელიც დისციპლინური წარმოების დაწყებას უზრუნველყოფს.

დასკვნა

წინამდებარე დოკუმენტი – ეს არის სარეკომენდაციო სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის დისციპლინური საქმისწარმოების პირველ ეტაპზე, რომელიც მოიცავს საქმისწარმოებას დამოუკიდებელი ინსპექტორის რგოლში. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია დისციპლინური საქმისწარმოების ყველა ეტაპის ღრმა კვლევა, რათა გამოვლენილი გამოწვევები და მიგნებები ერთ

[30] საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2020, 2021 და 2022 წლების სტატისტიკური ინფორმაცია. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://dcj.court.ge/

დოკუმენტში აისახოს, რაც საშუალებას მოგვცემს, ხელი შევუწყოთ როგორც დისციპლინური საქმის მწარმოებელი ორგანოების, ასევე პროცესში მონაწილე მხარეებს შორის საკანონმდებლო ნორმების საერთო განმარტების დადგენას, მტკიცებულებათა სტანდარტის განმარტებასა და შეფასებაზე საერთო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რათა მომავალში ადვოკატთა ცოდნა გაფართოვდეს და პროცესის მონაწილეთა შორის შეთანხმების გათვალისწინებით შესაბამისი რეკომენდაციები გაიცეს. ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები ქმედებათა ერთიან შეფასებაზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, დიდი მნიშვნელობა აქვს იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა კომუნიკაციას, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, რის მიზნად გვესახება მოსამართლეების, ადვოკატებისა და პროკურორების ქცევის კოდექსის შემუშავება, რაც ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გარანტი იქნება.

შემუშავებული რეკომენდაციები:

მოსამართლეთა დისციპლინური წარმოების პროცესში გამოკვეთილ გამოწვევათა აღმოსაფხვრელად შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. ადვოკატთა ცოდნის გასაფართოებლად შესაბამისი ტრენინგების ჩატარება დისციპლინური წარმოების პროცესზე, აკადემიურ წერასა და სამართლებრივ დასაბუთებაზე, პროფესიულ ეთიკასა და რელევანტურ საერთაშორისო სტანდარტებზე;
2. წინამდებარე სახელმძღვანელოს II ნაწილში გაწერილი სტანდარტებითა და წარმოდგენილი საერთაშორისო პრაქტიკით სარგებლობა საჩივრის სათანადოდ დასასაბუთებლად;
3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა კვლევა და შეფასება დისციპლინური წარმოების შეწყვეტისა და იმავე საქმეებზე დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გაცემული დასკვნებისა, რომლის მიზანი იქნება დისციპლინური წარმოების პროცესში არსებულ გამოწვევათა გამოვლენა საქმის წარმოების მეორე ეტაპზე;
4. მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მონაწილეთა საერთო შეხვედრების მოწყობა, პრაქტიკაში არსებული გამოწვევების განხილვა და გადაჭრის გზების შემუშავება;
5. მოსამართლის, ადვოკატისა და პროკურორის ქცევის კოდექსის შემუშავება, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება მათი ეთიკური ვალდებულებანი და ქცევის

ერთიანი სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს მაღალი ეთიკური სტანდარტის დანერგვას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

ავტორი: ელენე სიჭინავა

ნაწილი II: დისციპლინური გადაცდომების კომენტარები

პირველი პრინციპი

დამოუკიდებლობა

„ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს“ [31]

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებით გათვალისწინებული პირველი ღირებულება სასამართლოს დამოუკიდებლობაა. ეს არის „სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტი“.[32]

„მოსამართლის დამოუკიდებლობა რომელიმე ცალკეული მოსამართლის პრივილეგია თუ პრეროგატივა კი არ არის, – ეს არის პასუხისმგებლობა, რომელიც თითოეულ მოსამართლეს ეკისრება, რათა კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს სასამართლო დავა კანონისა და არსებულ მტკიცებულებათა საფუძველზე, ყოველგვარი გარეშე ზეწოლის, ზეგავლენისა თუ ჩარევის გარეშე“. [33]

„მოსამართლის დამოუკიდებლობის საფუძველია მოსამართლის სრული თავისუფლება, განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლოსათვის განსახილველად წარდგენილ საქმეებზე; [34]

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან და მას მხოლოდ სასამართლოები ახორციელებენ.[35] მართლმსაჯულების განხორციელება ეფუძნება დამოუკიდებლობის პრინციპს.[36]

---

[31] ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 75[1], მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[32] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პირველი ღირებულება, გვ. 34.
[33] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 2.2, გვ. 66.
[34] იქვე. პუნქტი 2.2, გვ. 66.
[35] ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 1-ელი მუხლის პირველი პუნქტი.
[36] იქვე. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე[37] ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს ინდივიდუალურ შემთხვევაში.[38] ბათილია ყველა აქტი, რომლებიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.[39]

1. **მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით[40]**

„პირადი ინტერესი“: მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.[41] მოსამართლე აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის, შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.[42]

მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის საკვანძო კრიტერიუმია კეთილსინდისიერება, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელია „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“.[43] ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას ითვალისწინებენ „მის პრინციპულობას, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარსა და ზეგავლენის მიმართ მედეგობას, პიროვნულ სიმტკიცეს, შეუვალობასა და სხვ.“ [44] იგივე პრინციპი და მახასიათებლებია გათვალისწინებული მოქმედი მოსამართლის საქმიანობის შესაფასებლად.[45] ამ შემთხვევაში მახასიათებელთა ანალოგიურ განმარტებას ემატება ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა: „პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა“ [46], მოსამართლე არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე სახის ზეგავლენას, „საიდანაც უნდა მოდიოდეს და რა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს“.[47]

---

[37] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
[38] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტი.
[39] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
[40] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1,] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი.
[41] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
[42] ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტი.
[43] იქვე. 35 [1] მუხლის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი.
[44] იქვე. 35 [1] მუხლის მე-6 პუნქტი.
[45] იქვე. 36 [2] და 36 [3] -ის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
[46] იქვე. 36 [3] -მუხლის მე-4 პუნქტი.
[47] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პირველი ღირებულება, პუნქტი 1.1. გვ. 35.

,,პოლიტიკური ზეგავლენა“: ,,საბოლოოდ, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბრისას ისმის კითხვა: „დამოუკიდებლობა ვისგან ან რისგან?” რა თქმა უნდა, პასუხი ასეთია: ,,პირველ რიგში, ხელისუფლებისგან.“ [48]

მოსამართლემ „უნდა გამორიცხოს თანამდებობისათვის შეუსაბამო ნებისმიერი ურთიერთობა ან ზემოქმედება ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების მხრიდან“. მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს ისეთი ურთიერთობებისა და კავშირებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მის უნარზე, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება ან ობიექტური დამკვირვებლის მიერ აღიქმებოდეს ისე, რომ მოსამართლე მოკლებულია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. [49]

„სოციალური ზეგავლენა“: „მოსამართლემ საქმე უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს იმაზე დაფიქრების გარეშე, რამდენად პოპულარული იქნება ხსენებული გადაწყვეტილება“.[50] შეიძლება გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით გაჩნდეს საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ამ აზრის გავლენისაგან თავისუფალი უნდა იყოს და ანგარიში არ უნდა გაუწიოს, მოეწონებათ თუ არა მისი გადაწყვეტილება პროცესის მხარეებს: საზოგადოებას, მედიას, ანდა მოსამართლის ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. „მოსამართლე არ უნდა აჰყვეს კლანური ინტერესების, საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილების გავლენას ან კრიტიკის შიშს. მოსამართლის დამოუკიდებლობა გულისხმობს დამოუკიდებლობას ნებისმიერი ფორმის ზემოქმედებისაგან“. [51] მოსამართლემ არ უნდა დაუშვას მისი ოჯახური და სოციალური ურთიერთობების რაიმე სახით ასახვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე. [52]

2. მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოსახდენად [53]

სახელმწიფო თუ მუნიციპალიტეტის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულსა თუ ფიზიკურ

---

[48] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, კომენტარები, მე-12 პუნქტი, გვ. 53 (Lord Bingham of Cornhill, Lord Chief Justice of Ingland, "Judicial Independence", Judicial Stud- ies Board Annual Lecture 1996, available from www.jsboard.co.uk.

[49] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 1.3. გვ. 35.

[50] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, კომენტარები, პუნქტი 27, გვ. 70.

[51] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, კომენტარები, პუნქტი 28, გვ. 71.

[52] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, კომენტარები, პუნქტი 29, გვ. 71-72.

[53] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1,] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ“.

პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა. [54]რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.[55]

მოსამართლემ, თუ საქმეს კოლეგიურ შემადგენლობაში განიხილავს, უნდა შეძლოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.[56] მოსამართლეებს შეუძლიათ იმსჯელონ, იკამათონ, „ეცადონ ერთმანეთის დარწმუნებას",[57] მაგრამ დაუშვებელია, რომ მოსამართლე „ჩაერიოს ან ეცადოს ჩარევას (სხვა) მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ან მასზე გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში".[58] კოლეგიური შემადგენლობის პირობებშიც კონკრეტული მოსამართლის გადაწყვეტილება უნდა იყოს მისი აზრისა და რწმენის ნაყოფი და არა კოლეგების გავლენის შედეგი.

სასამართლოს ან სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეთა იერარქიული მდგომარეობა ვრცელდება მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე და დაუშვებელია მათგან მითითება ან ნებისმიერი სახის ჩარევა მოსამართლის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „(სასამართლოების თავმჯდომარეებმა) პატივი უნდა სცენ მოსამართლის დამოუკიდებლობას და არ განახორციელონ მასზე არასათანადო ზემოქმედება მისი საქმეების გადაწყვეტისას, იმ სახით, რომ აღნიშნულმა შეადგინოს „ა.ბ" დისციპლინური გადაცდომის ელემენტები". [59]

საგულისხმოა, რომ მითითებული დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობისთვის საკმარისია საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნის არსებობა და აუცილებელი არ არის საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენდეს დამდგარ შედეგს.

„ქმედება, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს" [60]

[54] იქვე. მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[55] საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

[56] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 1.4. გვ. 82.

[57] Gerhard Reisner, CoE Expert, notes on the grounds to establish disciplinary misconduct of a judge, Article 75-1 clause 8 Organic Law on Common Courts, drafted in the framework of the Council of Europe´s Project "Strengthening the Independence and Efficiency of the Justice System in Georgia," p. 7.

[58] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 22, გვ. 66.

[59] Gerhard Reisner, COE Expert, notes on the grounds to establish disciplinary misconduct of a judge, Article 75-1 clause 8 Organic Law on Common Courts, drafted in the framework of the Council of Europe´s Project "Strengthening the Independence and Efficiency of the Justice System in Georgia," p. 7.

[60] ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ. "ქვეპუნქტი.

„მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც გადაწყვეტილების მიღებას უძღვის“. [61] აღნიშნული წარმოადგენს მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მეორე ღირებულებას.[62]

დამოუკიდებლობა v. მიუკერძოებლობა

„დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ორი განსაკუთრებული და ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებაა. მაგრამ ერთმანეთს უკავშირდება როგორც სამოსამართლო თანამდებობის ორი ერთმანეთის განმამტკიცებელი მახასიათებელი. დამოუკიდებლობა მიუკერძოებლობის აუცილებელი პირობა და მისი მიღწევის წინაპირობაა. მოსამართლე შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ არა მიუკერძოებელი (კონკრეტულ საქმესთან მიმართებით), მაგრამ მოსამართლე, რომელიც დამოუკიდებელი არ არის, ცხადია, ვერც მიუკერძოებელი ვერ იქნება (ინსტიტუციურ ასპექტებთან დაკავშირებით).[63]

„მნიშვნელოვანია, მოსამართლემ საქმე გადაწყვიტოს ნეიტრალურად და მიკერძოებისა და წინასწარი განწყობის გარეშე როგორც პროცესში ჩართული ადამიანების, ასევე საქმის შინაარსის მიმართ“.[64]

1. **მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე. ამასთანავე, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება მოსამართლის მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით ამ საქმესთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და ტექნიკურ საკითხებზე განმარტებების გაკეთება; [65]**

,,საქმის განხილვამდე (რომელზეც წინასწარ არის ცნობილი, რომ უნდა შედგეს ან მხოლოდ ვარაუდი არსებობს ამაზე) მოსამართლე თავს იკავებს ნებისმიერი კომენტარისაგან, რომელსაც შეუძლია, ვითარების გონივრულად შეფასებიდან

[61] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, გვ.35.
[62] იქვე.
[63] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 51, გვ. 90.
[64] Gerhard Reisner, COE Expert, notes on the grounds to establish disciplinary misconduct of a judge, Article 75-1 clause 8 Organic Law on Common Courts, drafted in the framework of the Council of Europe´s Project "Strengthening the Independence and Efficiency of the Justice System in Georgia," p. 8.
[65] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1,] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი.

გამომდინარე, რაიმე სახის გავლენა მოახდინოს ამ საქმის გადაწყვეტაზე ან ეჭვქვეშ დააყენოს პროცესის სამართლიანად წარმართვა. მოსამართლე თავს იკავებს საჯარო ან სხვა სახის კომენტარებისაგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება შეაფერხოს ამა თუ იმ პირთან ან საკითხთან დაკავშირებული საქმის მიუკერძოებელი განხილვა.[66]

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) ხაზს უსვამს, რომ „მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ ყოველგვარი კომენტარის გაკეთებისგან, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს რომელიმე პირის სამართლიან სასამართლოს უფლებაზე ან მოსამართლის მიერ განსახილველ საკითხზე, ან ამგვარი გავლენის გონივრული მოლოდინი გააჩინოს. როგორც ECtHR ადგენს, მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეზე გაკეთებულ ნებისმიერ განცხადებას ამ განცხადების ხასიათისა და კონტექსტის გათვალისწინებით შეუძლია გავლენა იქონიოს ამ უფლებაზე“.[67]

„თუ მედია ან დაინტერესებული ჯგუფები სასამართლოს გადაწყვეტილებას აკრიტიკებენ, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს კრიტიკაზე პასუხის გაცემისგან – ეს იქნება პრესისთვის წერილობით პასუხის გაცემა თუ ჟურნალისტის შეკითხვებზე. მოქალაქეთა ლეგიტიმურ ინტერესს (მოლოდინს) მოსამართლემ მკაფიოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით უნდა უპასუხოს“.[68]

„დასაშვებია მოსამართლის განცხადებები, გაკეთებული ოფიციალური მოვალეობების აღსრულებისას, ასევე მისი განმარტებები სამართალწარმოების წესის თაობაზე ან მისი გამოსვლები სამართლებრივი აღზრდის ხელშესაწყობად. მოსამართლეს არ ეკრძალება გამოსვლა იმ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, რომელშიც მხარეს წარმოადგენს და მონაწილეობს როგორც კერძო პირი“. [69]

ორგანული კანონი არ აკონკრეტებს, რომ მოსამართლეს კომენტარისაგან თავის შეკავება მხოლოდ იმ საქმესთან დაკავშირებით მართებს, რომელსაც განიხილავს: კანონი მას ავალდებულებს, რომ სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე საჯაროდ აზრი არ უნდა გამოხატოს.

---

[66] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 2.4, გვ. 101.
[67] ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2022 წლის 22 დეკემბრის N25 მოსაზრება მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შესახებ, 37-ე პუნქტი.
[68] იქვე. 42-ე პუნქტი.
[69] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, კომენტარები, პუნქტი 72, გვ. 102.

ამასთან, საგულისხმოა, რომ „მოსამართლის კომენტარები სხვა მოსამართლეების მიერ უკვე გადაწყვეტილ დავასთან დაკავშირებით დასაშვებია და არ წამოჭრის მოსამართლის მიკერძოებულობის საკითხს. სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებული განცხადებები პირდაპირ უკავშირდება მათ პროფესიულ საქმიანობას“.[70]

თუკი მოსამართლე განმარტებას აკეთებს სასამართლო პროცესის საორგანიზაციო და ტექნიკურ საკითხებზე, მაგალითად: როდის და სად ჩატარდება სასამართლო სხდომა? რატომ გადაიდო? და ა.შ. – ეს არ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად; თუმცა, არ არის საუკეთესო გზა, როდესაც მოსამართლე თავად აწვდის საზოგადოებას მსგავსი სახის ინფორმაციას. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტის საქმიანობას და სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. [71]

2. მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა [72]

მოსამართლემ საბოლოო გადაწყვეტილება პროცესის დასრულების შედეგად უნდა გამოიტანოს. თუ ის წინასწარ გაამჟღავნებს საქმის შედეგებს, ეს ნიშნავს, რომ პროცესის ჩატარება აზრს მოკლებულია, რადგან სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპია უგულებელყოფილი. ამასთან, თუ მოსამართლე წინასწარ გამოხატავს მოსაზრებას, მას შეგოჭავს ხსენებული პოზიცია, ამიტომ მაქსიმალურად ეცდება, მის ხელოვნურად შენარჩუნებას პროცესის მსვლელობისას, რაც ეწინააღმდეგება მიუკერძოებლობის პრინციპს. მოსამართლის მიერ საქმის განხილვა წინასწარ ჩამოყალიბებული დასკვნებით თავისთავად არღვევს მიუკერძოებლობის მოთხოვნას, მით უფრო, თუ დასკვნები საჯაროდ არის გამოთქმული, რაც აღძრავს საზოგადოების უნდობლობას სასამართლო სისტემის მიმართ.

---

[70] ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2022 წლის 22 დეკემბრის N25 მოსაზრება მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მე-40 პუნქტი.

[71] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს საერთო სასამართლოების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და სპიკერ-მოსამართლის დებულების დამტკიცების შესახებ, 2016 წლის 18 იანვარი; http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/gadawyvetilebebi/14-2016.pdf?fbclid=IwAR1M2dC_PcuQAgmhrEi4VgKsz_Srl-phJraIo2u5FqvaM5X04-3sj5q_jfs.

[72] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1,\,-}$მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი.

3. **მოსამართლის მიერ ამ კანონის 72[1] მუხლის პირველი პუნქტის ან 72[2] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა [73]**

საქართველოს ორგანული კანონის 72[1] მუხლი გულისხმობს მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობას:

სასამართლოში საქმის შესვლის წუთიდან საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში კანონიერად შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე მოსამართლეს ეკრძალება კომუნიკაცია პროცესის მონაწილესთან, დაინტერესებულ პირთან, საჯარო მოსამსახურესთან, სახელმწიფო მოსამსახურესთან, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირსა და პოლიტიკური თანამდებობის პირთან ისეთ საკითხზე, რომელიც უკავშირდება კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვას ან/და საქმის სავარაუდო შედეგს. მოსამართლე დისციპლინური წესით არის პასუხისმგებელი, თუკი ასეთი კომუნიკაცია არღვევს მის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს.[74] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს, მოსამართლე სისხლის სამართლის წესით სამოხელეო დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიეცემა.[75]

საქართველოს ორგანული კანონის 72[1] მუხლი ადგენს, როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე, თუკი მის მიმართ ინიციირებულია ზემოთ აღწერილი აკრძალული ხასიათის კომუნიკაცია:

მოსამართლე ვალდებულია, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მიერ უფლებამოსილ მოსამართლეს. თუ სასამართლოს თავმჯდომარესთან კომუნიკაცია დამყარდა, სასამართლოს თავმჯდომარე აცნობებს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს ან ამ უკანასკნელის მიერ უფლებამოსილ მოსამართლეს. თუ კომუნიკაცია ინიციირებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან, ის ატყობინებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილ მოადგილეს. ხოლო თუ კომუნიკაციის ადრესატი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, მაშინ ეს უკანასკნელი საქართველოს იუსტიციის

[73] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1,] -მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი.
[74] იქვე. 72 [1] მუხლის პირველი პუნქტი.
[75] იქვე. 72 [1] მუხლის მეორე პუნქტი.

უმაღლეს საბჭოს ატყობინებს.[76] ამ წესების დარღვევა, რამდენადაც ეს მოსამართლის თანამდებობას შესაბამისია, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია. [77]

მოსამართლემ ex parte კომუნიკაციების აბსოლუტური აკრძალვის პრინციპი უნდა დაიცვას. შეხვედრის დადასტურების გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსამართლე სიფრთხილით უნდა მოეკიდოს შეხვედრასთან დაკავშირებულ ნებისმიერ თხოვნას, უნდა გაარკვიოს შეხვედრის მიზანი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. მოსამართლე ვალდებულია, წერილობით დაადასტუროს ძირითადი ნორმები და პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვან დამდეგ შეხვედრაზე. მან უნდა უზრუნველყოს შეხვედრაზე ორივე მხარის ან სასამართლო სხდომის მდივნის დასწრება, ეს დაიცავს მოსამართლეს უხერხული ვითარებისაგან, როცა მისი ნათქვამი შეიძლება არასწორად იქნეს გაგებული.[78]

დაუშვებელია კერძო კონტაქტები მოსამართლესა და ნებისმიერ მხარეს თუ მის წარმომადგენელს, მოწმეებს ან ნაფიც მსაჯულებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მიიღებს თხოვნას ასეთი კომუნიკაციის შესახებ, ამასთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს და ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სასამართლო სხდომის ოქმში. [79]

მაგალითად: პარლამენტის წევრი წერილს სწერს მოსამართლეს, რომ დაინტერესებულია განქორწინების ან მეურვეობის კონკრეტული საქმით, – მხარეს კი წარმოადგენს ამომრჩეველი – განიხილოს სწრაფად და სამართლიანად. ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ მას წარმომადგენლის მეშვეობით უნდა აცნობოს, რომ მოსამართლის ქცევის წესები თავად მას უკრძალავს, მიიღოს, განიხილოს ან უპასუხოს მსგავს შეტყობინებას. ანალოგიურად უნდა მოიქცეს მოსამართლე, თუკი სახელმწიფო თანამდებობის პირი მას მიმართავს კითხვით: რა ეტაპზეა საქმის განხილვა? – და ამით ირიბად აგრძნობინებს საქმით დაინტერესებას. [80]

---

[76] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72[2] მუხლის მეორე პუნქტი.
[77] იქვე. 72[2] მუხლის მესამე პუნქტი.
[78] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 34, გვ. 75.
[79] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 64, გვ. 96.
[80] იქვე. 38-ე პუნქტი, გვ. 78 (იხ.United States of America, Commonwealth of Virginia Judicial Ethics Advisory Committee, Opinion 2000-7).

4. **მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი** [81]

სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებებია:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი:

ა) არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით;

ბ) ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;

ბ[1]) გამოძიება ამ საქმეზე მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;

გ) არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;

დ) პროცესის მონაწილეები მისი ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;

დ 1) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;

ე) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

2. მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში.

3. მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება არ არის ადრე ამ საქმის საკასაციო წესით განხილვაში მისი მონაწილეობა.

6. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე გამომძიებელი მონაწილეობას ვერ მიიღებს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში, თუ არ არსებობს დაცვის მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებებია:

[81] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1,] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 29. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა

1. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.
2. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.
3. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 30. სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა

სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო, თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

მუხლი 31. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები

1. მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:
ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში ;
ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან:
ა) მეუღლე;
ბ) დანიშნული;
გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;
დ) და-ძმა;
ე) დისშვილები და ძმისშვილები;
ვ) მშობლების და-ძმები;
ზ) დანათესავებულები (მოყვრები);

თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

იმის განსაზღვრისას, მოსამართლე არის თუ არა მიკერძოებული, ბრალდებულის აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი. ამგვარი ეჭვი დასაბუთებული უნდა იყოს ობიექტური დამკვირვებლისთვის. [82]

რა არის წინასწარგანწყობა? „ეს არის თვალსაზრისი, პოზიცია, რომელიც მსჯელობასა და დასკვნებზე ახდენს გავლენას და ხელს უშლის მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციების მიუკერძოებელ შესრულებას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით". თუმცა წინასწარ შექმნილი აზრი განსახილველ საკითხზე უნდა გავმიჯნოთ ღირებულებათა სისტემისგან, რომლითაც მოსამართლე ხელმძღვანელობს, „მაგალითად: თუ მოსამართლე უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ძირითად უფლებებს, – ეს არ იძლევა საფუძველს, განვაცხადოთ, რომ მას მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს განსახილველი საქმისადმი, თუკი კანონი ნათლად და ცალსახად არ მოითხოვს სხვაგვარ მიდგომას". [83]

„ღირებულებები, რომლებსაც მოსამართლე აღიარებს, მისი პრინციპები ან კანონთან დაკავშირებული მოსაზრებები წინასწარ შექმნილი განწყობა არ არის. ის ფაქტი, რომ მოსამართლეს ესა თუ ის აზრი აქვს სამართლებრივსა თუ სოციალურ საკითხებზე, რომლებიც განსახილველ საქმეს უკავშირდება, არ ართმევს მას საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლებას. უნდა განვასხვაოთ მისაღები მოსაზრება წინასწარ განწყობისაგან. როგორც ითქვა, მოსამართლის ცნობიერება (გონება) სუფთა დაფა (tabula raza) რომ ყოფილიყო, – ეს არაკვალიფიციურობა იქნებოდა და არა წინასწარ შექმნილი განწყობა". [84]

მოსამართლის აცილების დაუშვებელი საფუძვლები: მოსამართლის ეთნიკური და სოციალური წარმომავლობა, სქესი, ასაკი, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა და სექსუალური ორიენტაცია, სოციალური წარმომავლობა, განათლება, მუშაობის სტაჟი, საზოგადოებრივი, სპორტული ან საქველმოქმედო ორგანიზაციების წევრობა, მის მიერ ადრე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები.[85]

---

[82] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 54, გვ. 91.
[83] იქვე. პუნქტი 57, გვ. 93.
[84] იქვე. პუნქტი 60, გვ. 94.
[85] იქვე. პუნქტი 89, გვ. 111.

მოსამართლის მიერ აცილებაზე უარი შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეიძლება გამართლებული იყოს, თუ არ არის სასამართლოში ობიექტური შესაძლებლობა, დაინიშნოს სხვა მოსამართლე ან საქმის განხილვის დაყოვნებამ შეიძლება ავნოს სამართლებრივ სიკეთეს. [86]

ორგანული კანონის მიხედვით, გადაცდომად არ მიიჩნევა მოსამართლის მიერ აცილებაზე უარის თქმა მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ნებისმიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში. ორგანული კანონის თანახმად, იმისთვის, რომ ასეთი ქმედება დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიცირდეს, საჭიროა „საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი".

„(საქმის აცილების აშკარა საფუძვლის არსებობის დასადგენად) აუცილებელია, რომ ობიექტური გარემოებები არსებობდეს და მოსამართლემ სუბიექტურად იცოდეს, რომ ეს გარემოებები არსებობს." [87]

5. მოსამართლის პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრება, მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, საარჩევნო სუბიექტის ნებისმიერი ფორმით საჯაროდ მხარდაჭერა ან პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა [88]

„ამა თუ იმ პარტიის ან პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერი მოქმედება თუ განცხადება იმთავითვე ნიშნავს, რომ მოსამართლე საჯაროდ იკავებს ერთ რომელიმე მხარეს". დაუშვებელია, მოსამართლემ საკუთარი თანამდებობრივი მდგომარეობა პოლიტიკურ სარბიელზე გამოსასვლელად გამოიყენოს. გამონაკლისია „მოსამართლის მიერ გაკეთებული განცხადებები სასამართლოს ხელისუფლების ინსტიტუტის დასაცავად ან საზოგადოებისა თუ სპეციალიზებული აუდიტორიისათვის სამართლის კონკრეტული საკითხებისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების განმარტება, ასევე საქმიანობა, რომლის მიზანი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და სამართლის უზენაესობის მხარდაჭერაა". ასეთ შემთხვევაშიც მოსამართლე ფრთხილად უნდა მოეკიდოს სათქმელს, რათა პოლიტიკური კონოტაცია არ შეიძინოს. [89]

---

[86] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების პუნქტი 2.5, გვ. 36-37.

[87] Gerhard Reisner, CoE Expert, notes on the grounds to establish disciplinary misconduct of a judge, Article 75-1 clause 8 Organic Law on Common Courts, drafted in the framework of the Council of Europe´s Project "Strengthening the Independence and Efficiency of the Justice System in Georgia," p.10.

[88] ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1], მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ.ე" ქვეპუნქტი.

[89] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 65, გვ. 96-97.

პოლიტიკური მიუკერძოებლობის პრინციპი მოსამართლისგან აგრეთვე მოითხოვს, რომ ნეიტრალური იყოს პროცესის მონაწილეთა მიმართ, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა.[90]

მაგალითად: თუკი მოსამართლის ოჯახის წევრი ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, მოსამართლე დემონსტრაციულად უნდა დისტანცირდეს მისგან: არ უნდა ახლდეს მას პოლიტიკურ შეკრებებზე, არ უნდა იმართებოდეს შეხვედრები მოსამართლის სახლში. ოჯახის აღნიშნულმა წევრმა შემოწირულება პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ საკუთარი სახსრებიდან უნდა გაიღოს და არავითარ შემთხვევაში – მოსამართლესთან საერთო ფინანსური წყაროდან. ამასთან, მართლზომიერია მოსამართლის დასწრება ინაუგურაციაზე ან სახელმწიფო მეთაურის სტუმრობასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე.[91]

6. მოსამართლის მიერ სასამართლოში საქმეთა განაწილებაში უკანონო ჩარევა [92]

საქართველოს რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. [93]საქმეთა განაწილების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. [94]ელექტრონული განაწილების სისტემის დროებით შეფერხებისას დასაშვებია, რომ მოსამართლეთა შორის საქმეები გადანაწილდეს რიგითობის წესით, რაც გულისხმობს საქმეების განაწილებას შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით. [95]

დაუშვებელია, რომელიმე დაინტერესებული მოსამართლე ეცადოს გავლენის მოხდენას სასამართლოში საქმეთა განაწილების პროცესზე. საქმეები უნდა განაწილდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხოლო პროცედურა ცნობილი იყოს თითოეული მოსამართლისთვის. საქმეები მოსამართლეთა შორის როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად თანაბრად ნაწილდება. საქმეთა განაწილებისას აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ცალკეული მოსამართლეების განსაკუთრებული საჭიროება ან განსაკუთრებული

[90] იქვე. პუნქტი 65, გვ.96-97.
[91] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 38, გვ. 79-80.
[92] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ.ვ“ ქვეპუნქტი.
[93] იქვე. 58 [1] მუხლის 1-ელი პუნქტი.
[94] იქვე. 58 [1] მუხლის მე-2 პუნქტი.
[95] იქვე. 58 [1] მუხლის მე-3 პუნქტი.

ობიექტური გარემოებანი, თუმცა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან არიდებული ასეთი გამონაკლისები. [96]

ელექტრონული განაწილების შემთხვევაში დისციპლინური გადაცდომაა უკანონო ტექნოლოგიური ჩარევა, რომლის შედეგად განაწილების პროცესში ცვლილება მოხდება. ასევე შემთხვევითი განაწილებისას, თუ მოსამართლე დადგენილი პროცედურის გვერდის ავლით ან მანიპულაციით ხელოვნურად გაანაწილებს, რათა რომელიმე კონკრეტული საქმე მის/ან სხვა მოსამართლის წარმოებაში აღმოჩნდეს, აღმოვჩნდებით დისციპლინური დარღვევის წინაშე. არ აქვს მნიშვნელობა, რა მოტივი ამოძრავებდა მოსამართლეს. თავისთავად საქმეთა განაწილების წესის დარღვევა და უკანონო ჩარევა ამ პროცესში სასურველი შედეგის მიღების მიზნით, წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

7. მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით [97]

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) N25 მოსაზრებაში[98] ხაზს უსვამს მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას და საჯარო დისკურსში მოსამართლეთა მონაწილეობას საკანონმდებლო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე განიხილავს არა მხოლოდ დასაშვებ ფორმატად, არამედ მოსამართლის პირდაპირ პასუხისმგებლობად, შეიტანოს თავისი კონტრიბუცია ამ პროცესში.

„სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიაში მოსამართლეებს მათი უნიკალური როლის გამო ექსპერტული ცოდნითა და გარანტირებული პასუხისმგებლობით შეუძლიათ წვლილი შეიტანონ კანონების, საკანონმდებლო სისტემის გაუმჯობესების, ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში. შესაბამისად, იმ პირობით, რომ შენარჩუნებული იქნება მათი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, მოსამართლეებს უნდა მიეცეს უფლება და მეტიც, წახალისებულნი უნდა იყვნენ, მონაწილეობა მიიღონ კანონის შესახებ გამართულ დისკუსიებში საინფორმაციო და

[96] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 216, გვ. 197.
[97] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი.
[98] ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2022 წლის 22 დეკემბრის N25 მოსაზრება მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

საგანმანათლებლო მიზნებისათვის, ასევე, წარმოადგინონ თავიანთი ხედვები და მოსაზრებები კანონის გამოყენების ხარვეზიანობაზე, კანონის, ისევე როგორც მთელი საკანონმდებლო სისტემის გაუმჯობესების შესახებ."[99]

CCJE ადგენს, რომ მოსამართლე არ არის ვალდებული, თავი შეიკავოს საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხზე კომენტარისგან იმ ვარაუდის დაშვების გამო, რომ მომავალში საკითხი შეიძლება სასამართლოში განიხილონ; უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ ის კონკრეტულად ამ მოსამართლის წარმოებაში მოხვდება. „მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონკრეტული თემა ან საკითხი შეიძლება მომავალში განსახილველ საქმეს დაუკავშირდეს, არ არის საკმარისი, იმისათვის, რომ მოსამართლეს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა აღეკვეთოს".[100]

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, სასამართლოს წევრები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ სიტყვის, აღმსარებლობის, ასოციაციისა და შეკრებების თავისუფლებით, თუმცა მოსამართლეთა ქცევა ამ უფლებებით სარგებლობისას ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს თანამდებობის მიმართ პატივისცემას, სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას".[101]

მოსამართლეს შეუძლია, დაუფარავად გამოთქვას თავისი მოსაზრებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ეხება სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას, ესენია: სასამართლოს დამოუკიდებლობა, მოსამართლის შრომის ანაზღაურება და შეღავათები და სხვ. თუმცა ამ საკითხებზე მოსაზრებების გამოთქმისას მოსამართლეს მართებს წინდახედულობის გამოჩენა. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სასამართლო სისტემის წარმომადგენელია. „მოსამართლე ადვილად ვერ მიაღწევს საკუთარი აზრის ისე გამოხატვას, რომ ის მხოლოდ მის პირად მოსაზრებად აღიქვან და არა მთელი სამოსამართლო საზოგადოებისად".[102] საზოგადოების თვალში მოსამართლე მიუკერძოებლობას უნდა განასახიერებდეს. „თუ მოსამართლე პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის და საჯარო დისკუსიებში გამოთქვამს თავის მოსაზრებებს სადავო საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეობს საჯარო პოლემიკაში საზოგადო მოღვაწეებთან ან საჯაროდ აკრიტიკებს მთავრობას,

[99] იქვე. 46-ე მუხლი.
[100] იქვე. 38-ე პუნქტი.
[101] გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ მიღებულია გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ, მილანი, 1985 წლის 26 აგვისტო - 6 სექტემბერი, ძალაშია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით, პუნქტი 8.
[102] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 38, გვ. 142.

საზოგადოების თვალში ის ეჭვქვეშ აყენებს თავის უნარს, მიუკერძოებლად განახორციელოს მოსამართლის მოვალეობები. საზოგადოება დაეჭვდება მოსამართლის მიუკერძოებლობაში, როცა მას მოუწევს იმ საკითხებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა, რომელთა თაობაზეც მას საჯაროდ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება ან იმ საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა, რომელშიც მხარედ ან მოწმედ გამოდიან პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები თუ სამთავრობო უწყებები, რომელთა მიმართაც მოსამართლეს კრიტიკული შენიშვნები გამოუთქვამს“.[103]

„მოსამართლეს უფლება აქვს, კომენტარები გააკეთოს იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, სამართლის უზენაესობას, მოსამართლეთა დანიშვნასა და დაწინაურებას და მართლმსაჯულების ჯეროვან ფუნქციონირებას“. [104] „თუკი საკითხი პირდაპირ სასამართლოების საქმიანობას ეხება, მოსამართლეებს შეუძლიათ მოსაზრება გამოთქვან სადავო საკითხებზე, მათ შორის საკანონმდებლო ინიციატივასა და მთავრობის პოლიტიკაზე“.[105] „არსებობს სიტუაციები, როდესაც მოსამართლე, როგორც მორალური პრინციპებისა და ღირებულებების მქონე ადამიანი, საკუთარი აზრის გამოთქმას ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევს“, „მაგალითად, მოსამართლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აქციაში, დაიჭიროს პლაკატი, ხელი მოაწეროს პეტიციას. ამ გზით ის გამოხატავს შეშფოთებას იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებას ან ადგილობრივ თემს აწუხებს. მას შეუძლია გაპროტესტოს ომი, გარემოს დაბინძურება, სიღატაკე. თუკი რომელიმე ასეთი საკითხი, რომელზეც მან საჯაროდ გამოხატა პოზიცია, აღმოჩნდება მისი განსახილველი საქმის ნაწილი, მოსამართლემ თვითაცილების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. [106]„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის ცალკე პუნქტით (75[1,] მუხლის მე-8 პუნქტის *„ბ.ე“* ქვეპუნქტით) არის განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომა – „მოსამართლის პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრება, მის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, საარჩევნო სუბიექტის ნებისმიერი ფორმით საჯაროდ მხარდაჭერა ან პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა;“ [107] როდესაც „პოლიტიკური შეხედულების საჯაროდ გამოხატვა“ თავისთავად არის დისციპლინური გადაცდომა, ჩნდება კითხვა რით განსხვავდება ამ შემადგენლობისგან აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით [108]

ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა ვენეციის კომისიამ, როდესაც, აღნიშნული ჩანაწერი, კანონპროექტის სახით წარმოდგენილი, შეაფასა. მისი მოსაზრებით, მითითებული ფორმულირება უნდა განიმარტოს ვიწროდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

[103] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 136, გვ. 141.

[104] ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2022 წლის 22 დეკემბრის N25 მოსაზრება მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შესახებ, 48-ე პუნქტი.

[105] იქვე.

[106] იქვე. პუნქტი 140; გვ.143.

[107] ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1,] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ.ე“ ქვეპუნქტი.

[108]CDL-AD(2022)010-eGeorgia - Opinion on the December 2021 amendments to the organic Law on Common Courts, adopted by the Venice Commission at its 131st Plenary Session (Venice, 17-18 June 2022) Para 62.

პრეცედენტული სამართლის შესაბამისად მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების შესახებ. [109] ვენეციის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა არ შეიძლება ისე გავიგოთ, თითქოს მოსამართლეს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საჯარო დისკურსში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ „(პოლიტიკური) ნეიტრალიტეტის მანიფესტაციური დარღვევის შემთხვევაში“.[110] მითითებული დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობიდან გამოირიცხება აზრის საჯაროდ გამოხატვა „სასამართლო სისტემის რეფორმებისა და საკანონმდებლო საკითხებზე“.[111]

„მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უფლება და ვალდებულება მიგვითითებს, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება და პოლიტიკური ასოციაციის უფლება შესაძლებელია ლეგიტიმურად შეიზღუდოს და მათმა დარღვევამ დისციპლინური გადაცდომა გამოიწვიოს“.[112] „თუმცა არ შეიძლება მოსამართლეებს სავსებით აეკრძალოთ სოციალურ აქტივობაში მონაწილეობა მათი ოფიციალური ფუნქციების მიღმა. მოსამართლის მიუკერძოებლობის რეგულირებისას ბალანსი უნდა შენარჩუნდეს გამოხატვის ფუნდამენტურ თავისუფლებასა და სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს შორის, უზრუნველყოს მიუკერძოებელი და არაპოლიტიკური სასამართლო ხელისუფლება.“ [113]

„ხელისუფლების დანაწილების საკითხები, სასამართლო სისტემის ფუნქციონირება და საკანონმდებლო საკითხები ექცევა საჯარო ინტერესის სფეროში და მოსამართლეები, როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცვის მაღალი ხარისხით. იმ ფაქტმა, რომ ხელისუფლების დანაწილების საკითხი ან სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები პოლიტიკური ეფექტებით გამოირჩევა, არ უნდა მოახდინოს მოსამართლეების საჯარო დებატებში მონაწილეობის პრევენცია, თუკი ეს მათ (სუბიექტურსა თუ ობიექტურ) მიუკერძოებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს“.[114]

[109] იქვე. Para 67.
[110] იქვე. Para 68.
[111] იქვე. Para 68.
[112] იქვე. Para 63.
[113] იქვე. Para 64.
[114] იქვე. Para 66.

ქმედება, რომელიც არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს

ბანგალორის პრინციპების მესამე ღირებულება „კეთილსინდისიერებაა“.[115] „კეთილსინდისიერება“ მოსამართლის მიერ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. [116] „მოსამართლე სამაგალითოდ უნდა იქცეოდეს გარეშე დამკვირვებლის თვალში“.[117] მოსამართლის ქმედება და ქცევა საზოგადოებას სასამართლოს კეთილსინდისიერების რწმენას უნდა განუმტკიცებდეს.[118]

„არ არსებობს მეტ-ნაკლები კეთილსინდისიერება – ეს აბსოლუტური კატეგორიაა. სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეებისათვის კეთილსინდისიერება სათნოებაზე მეტია, ეს აუცილებლობაა“.[119] მოსამართლე თავად უნდა იყოს ქცევის მაღალი სტანდარტის გამომხატველი. [120]

შესაბამისად, მოსამართლის კეთილსინდისიერება ფასდება შემდეგი ფაქტორების მიხედვით: არის თუ არა ქცევა კანონიერი? რამდენად ექვემდებარება აღნიშნული ქცევა, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, დაცვას? გამოიჩინა თუ არა მოსამართლემ წინდახედულობა? მიაყენა თუ არა ამ ქცევამ ზიანი სხვა პირს? გამოხატავს თუ არა ქცევა უპატივცემლობას საზოგადოებისადმი? [121]

1. **მოსამართლის მიერ კორუფციული სამართალდარღვევის, ანუ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 5^2, მე-7, მე-8, მე-10, მე-11, მე-13, 13^4, 13^5 ან 20^4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენა [122]**

მოსამართლეს აქვს განსაკუთრებული ვალდებულება, განუხრელად იცავდეს კანონს. მის მიერ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობას შეუძლია შეარყიოს საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი. [123]

---

[115] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, გვ. 37.
[116] იქვე. გვ. 37.
[117] იქვე. პუნქტი 3.1, გვ. 37.
[118] იქვე. პუნქტი 3.2, გვ. 37.
[119] იქვე. პუნქტი 101, გვ.120.
[120] იქვე. პუნქტი 103, გვ.121.
[121] იქვე. პუნქტი 103, გვ.121.
[122] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი.
[123] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 108, გვ.124.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული მუხლებით განსაზღვრულია შემდეგი შემადგენლობები:

- საჩუქრის მიღება – მოსამართლის ან მისი ოჯახის წევრების მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით მიღებული ქონება ან მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს.

  საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრების – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

  მოსამართლის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.[124]

- მოსამართლის ან მისი ოჯახის წევრის მიერ შემდეგი ვალდებულების შეუსრულებლობა, თუკი ის საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ ამ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ ოდენობას, ან/და თუ გარკვეული მიზეზით (საჩუქრის ფოსტით მიღება, საჩუქრის საჯაროდ გადაცემა) შეუძლებელი იყო მის მიღებაზე უარის თქმა, იგი ვალდებულია, 3 სამუშაო დღის ვადაში საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომ – ბიურო) წარუდგინოს ინფორმაცია მიღებული საჩუქრის დასახელების, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულების/ოდენობისა და მჩუქებლის ვინაობის შესახებ, ხოლო ამ კანონით აკრძალული საჩუქარი გადასცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.[125]

---

[124] „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.
[125] იქვე. 5 [2] მუხლი.

- სამსახურებრივი უფლებამოსილება ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება საჯარო დაწესებულების ინტერესების საწინააღმდეგოდ ან იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც მოსამართლის სამსახურებრივ უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.[126]

- გამჟღავნება ან არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.[127]

- მოსამართლეს, პირადი ინტერესიდან გამომდინარე, ეკრძალება:
  ა) შეიძინოს გარიგების დასადებად მისთვის მინდობილი საჯარო დაწესებულების ქონება;
  ბ) დადოს ქონებრივი გარიგება იმ საჯარო დაწესებულებასთან, სადაც მუშაობს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა;
  გ) თავის სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთან, პოლიტიკურ პარტიასთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან დადოს გარიგება, როგორც საჯარო მოსამსახურემ;
  დ) თავის ოჯახის წევრთან ან ახლო ნათესავთან დადოს ქონებრივი გარიგება, როგორც საჯარო მოსამსახურემ.[128]

- მოსამართლე, რომლის მოვალეობაა კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს და უარი განაცხადოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე. იმ შემთხვევაშიც, თუკი მოსამართლე ასეთ საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს, **უნდა განაცხადოს თვითაცილება.**[129]

- რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი ან თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა) შესრულება. სხვა თანამდებობის დაკავება რომელიმე საჯარო დაწესებულებაში (გარდა თავდაცვის ძალების რეზერვისა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირად, ან

[126] იქვე. მე-7 მუხლი.
[127] იქვე. მე-8 მუხლი.
[128] იქვე. მე-10 მუხლი.
[129] იქვე. მე-11 მუხლი.

ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობა, ან რაიმე ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება, ან რაიმე თანამდებობის დაკავება სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.[130]

- შემდეგი ვალდებულების შეუსრულებლობა: საჯარო მოსამსახურე ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სამსახურის გავლის ვადით სხვას სამართავად გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწარმოს კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[131]
- სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრობა.[132]
- სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, გარდა აქციების და წილის ფლობისა.[133]
- მოსამართლის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე მოხელედ, ადმინისტრაციული ან შრომითი ხელშეკრულებით ახლო ნათესავის დანიშვნა (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა). [134]
- იმ სარგებლის შეთავაზება ან მიღება, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[135]
- მოსამართლე ვალდებულია: ა) ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულსა თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე; ბ) მიიღოს ზომები ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევის დაუშვებლობისათვის; გ) განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე/არჩევამდე ან დანიშვნის/არჩევის შემდეგ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტი.[136]
- ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.[137]

---

[130] იქვე. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.
[131] იქვე. მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.
[132] იქვე. მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი.
[133] იქვე. მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი.
[134] იქვე. მე-13 მუხლის მე-13 პუნქტი
[135] იქვე. 13 [4] მუხლის 1-ელი პუნქტი.
[136] იქვე. 13 [4] მუხლის მე-2 პუნქტი.
[137] იქვე. 13 [5] მუხლის 1-ელი პუნქტი.

- ❖ მოსამართლის მიერ ვალდებულების დარღვევა – კანონით აკრძალული სარგებლის შეთავაზების შემთხვევაში, განაცხადოს ამის შესახებ კანონით დადგენილი წესთ. [138]
- ❖ მამხილებლის ან მისი ახლო ნათესავის დაშინება, შევიწროება, იძულება, დამცირება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენება, დისკრიმინაციული მოპყრობა ან სხვა უკანონო ქმედების განხორციელება მხილების ფაქტთან დაკავშირებით.[139]

2. მოსამართლის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისათვის ხელის შეშლა[140]

სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულს აქვს დუმილის გამოყენებისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. შეუძლებელია დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ გამოიყენებოდეს უფრო მკაცრი სტანდარტი. მოსამართლის მიერ, რომელიც მიცემულია დისციპლინურ პასუხისმგებლობაში, საკუთარი პოზიციის დაცვაზე უარის თქმა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც დისციპლინური ორგანოსთვის ხელის შეშლა. დასახელებულ გადაცდომად მიიჩნევა ისეთი ქმედებანი, რომლებიც საქმის ყოველმხრივი განხილვის შეფერხებისა და სამართლიანი შედეგის დადგომის პრევენციისკენ არის მიმართული.

„ქმედება, რომელიც არღვევს წესიერების პრინციპს“

ბანგალორის პრინციპების მე-4 ღირებულება წესიერების დაცვაა. „წესიერების დემონსტრირება მოსამართლეთა საქმიანობის განუყოფელი ნაწილია“.

„მოსამართლე იცავს წესიერების პრინციპს. მან არ უნდა დაუშვას ქცევა, რომელიც წესიერების პრინციპს არ შეესაბამება მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას. [141]საზოგადოების მხრიდან მუდმივი ყურადღება მოსამართლეს ავალდებულებს, დაიცვას ზოგი შეზღუდვა; და, მიუხედავად იმისა, რომ რიგითი მოქალაქისათვის ასეთი შეზღუდვა შეიძლება მძიმე

[138] იქვე. 13 [5] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
[139] იქვე. 20 [4] მუხლი.
[140] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი.
[141] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 4.1, გვ. 37.

იყოს, მოსამართლე მათ ნებაყოფლობითა და ხალისით უნდა იღებდეს, კერძოდ: მოსამართლის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მისი თანამდებობის მაღალ სტატუსს“. [142]

3. მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილისთვის უპირატესობის მინიჭებას, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია მხარის შესახებ [143]

თუ საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატი მოსამართლის მეგობარი, მეზობელი ან ყოფილი თანამშრომელია, ან პარტნიორი, თავს იჩენს მოსამართლის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საბაბის წარმოშობის პრობლემა.[144] ობიექტურ დამკვირვებელს არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მოსამართლესა და ადვოკატს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებთ, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე. [145] თუ მონაწილე ადრე საადვოკატო ბიუროში ან პროკურატურაში მუშაობდა, მას შეუძლია დაესწროს ამ უწყების/ორგანიზაციის მიერ გამართულ საზეიმო ღონისძიებას, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს ყოფილ კოლეგებთან ახლო და ხშირი კონტაქტებისგან. [146]

საგულისხმოა, რომ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ყოველი კავშირი პროცესის მონაწილესთან არ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად. დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ, პირველი, ეს ურთიერთობა იყოს ინტენსიური, მეორე, ის უნდა იწვევდეს მოსამართლის მიკერძოებას ან პროცესის მონაწილისთვის რაიმე სახის უპირატესობის მინიჭებას.

4. მოსამართლის მიერ სექსუალური შევიწროების განხორციელება [147]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ დასაქმების დარგში ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა

---

[142] იქვე. პუნქტი 4.2, გვ. 37.
[143] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტი.
[144] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 120-121, გვ.131-132.
[145] იქვე. პუნქტი 122; გვ. 132-133.
[146] იქვე. პუნქტი 124-125, გვ.134.
[147] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტი.

მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე თანაბარი უფლებები უზრუნველყონ“.[148]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის გაეროს კომიტეტი აღნიშნულ მუხლს (N19) ზოგად რეკომენდაციაში შემდეგნაირად განმარტავს: „დასაქმების სფეროში თანასწორობა მნიშვნელოვნად იზღუდება, როდესაც ქალები გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის სამუშაო დაწესებულებებში სექსუალური შევიწროების, მსხვერპლნი არიან.[149] სექსუალური შევიწროება მოიცავს უსიამოვნო სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობას, სექსუალური შინაარსის მქონე განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებისა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს; მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი ქცევა სიტყვიერად გამოიხატება თუ ქმედებით. ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შეიძლება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნულის გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის სამსახურში აყვანასა თუ დაწინაურებაზე, პროტესტის შედეგად მას სამსახურში მტრული სამუშაო გარემო შეექმნება.“ [150]

ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) მე-40 მუხლი ადგენს: „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დასაშინებელი, მტრული, დასამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნით, დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს“.[151]

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. ის მოიცავს ქცევის სამი ძირითად სახეს:

---

[148] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის მე-11 მუხლი; https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf; გვ. 8

[149] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ გაეროს კომიტეტის N19 ზოგადი რეკომენდაცია https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf პუნქტი 17, გვ. 20.

[150] იქვე. პუნქტი 18-ე, გვ. 20-21.

[151] ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), მე-40 მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0.

ვერბალურს, არავერბალურსა და ფიზიკურ ქცევას, რომელიც სექსუალური ხასიათისაა და მსხვერპლისთვის არასასურველია. ვერბალური ქცევა გულისხმობს სიტყვებს ან ხმებს, რომლებიც გამოხატულია მოძალადის მიერ ზეპირად ან წერილობით, მაგალითად: ხუმრობა, შეკითხვები, რემარკები. არავერბალური ქმედება ფარავს მოძალადის ნებისმიერ გამოხატვასა და კომუნიკაციას, რომლებიც არ შეიცავს სიტყვებსა და ხმებს, მაგალითად: სახის გამომეტყველებას, ხელის მოძრაობას ან სიმბოლოებს. ფიზიკური ქცევა მსხვერპლის სხეულზე ნებისმიერი სახის არასასურველ შეხებას გულისხმობს. ასეთი ქცევის მიზანი ან შედეგი ადამიანის ღირსების დაკნინებაა. ის ქმნის დასაშინებელ, დასამცირებელ, შეურაცხმყოფელსა და მტრულ გარემოს. [152]

როგორც წესი, სექსუალური შევიწროება ხორციელდება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კონტექსტში დასაჩუქრების დაპირებით ან რეპრესიის შიშით. უმეტესწილად მოძალადე და დაზარალებული ერთმანეთს იცნობენ და მათი ურთიერთობა იერარქიულია. [153]

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და მას დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს. სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას, ან მისთვის დასაშინებელი, მტრული, დასამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.[154]

აღნიშნული დისციპლინური გადაცდომის შემადგენლობით არ არის დაკონკრეტებული, რომ აუცილებელია დაზარალებული პროცესის მონაწილე ან სასამართლოს თანამშრომელი იყოს. შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობა სექსუალური შევიწროების განხორციელებისთვის მოსამართლეს დაეკისრება როგორც სამსახურებრივ სივრცეში, ასევე მის მიღმა.

ამონარიდი საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან „სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ“: [155]

---

[152] ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) განმარტებითი ბარათი, პუნქტი 208; გვ. 35-36; https://rm.coe.int/ic-and-explanatory-report/16808d24c6.

[153] იქვე. პუნქტი 208; გვ. 36.

[154] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლის 3 [2] პუნქტი.

[155] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია „სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ“ https://www.ombudsman.ge/res/docs/2021020311331174244.pdf; გვ. 10-11.

„სახალხო დამცველი განმარტავს, რომ სექსუალური შევიწროება ყოველთვის იწვევს პირის ღირსების შელახვასა და დამცირებას. სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება შეურაცხმყოფელი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად. საკმარისია, რომ ქმედებას ჰქონდეს დისკრიმინაციული გავლენა, ამდენად ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვაზე, არამედ ქმედების შედეგზე.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მსხვერპლი არ აფიქსირებს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამორიცხავს შემავიწროებელი პირის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა (ought to have known), რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის. აღნიშნული მიდგომა აწესებს სექსუალური შევიწროებისათვის სუბიექტურობისა და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობის კომპონენტი არის შემავიწროებლის დამოკიდებულება მისი ქცევის მიმღებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი კი ყურადღებას ამახვილებს, თუ როგორ იქნებოდა კონკრეტული ქცევა მიღებული, გონივრულობის ფარგლებში, მესამე პირის მიერ.

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს ერთი ცალკე მდგომი შემთხვევით, ან შეიცავდეს სხვადასხვა სახის ქცევათა კასკადს. „quid pro quo“ სექსუალური შევიწროებისაგან განსხვავებით, სადაც ერთი იზოლირებულად მდგომი ინციდენტი, მისი სიმძიმის გათვალისწინებით, სექსუალურ შევიწროებად შეიძლება ჩაითვალოს, სექსუალური შევიწროებით მტრული გარემოს შექმნა, როგორც წესი, ხასიათდება მრავალჯერადი შეურაცხმყოფელი ინციდენტებით, რომელთა ინდივიდუალურად შეფასება შესაძლოა არც კი იძლეოდეს სექსუალური შევიწროების შემადგენლობას.“

5. მოსამართლის მიერ სასამართლოს თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება [156]

„მოსამართლემ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის, თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ უნდა გამოიყენოს ან არ უნდა

[156] საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „დ.გ.“ ქვეპუნქტი.

გაუმჟღავნოს ვინმეს რაიმე სხვა ისეთი მიზნით, რომელიც არ უკავშირდება მოსამართლის მოვალეობათა შესრულებას.“ [157]

„(აღნიშნული გადაცდომა) აძლიერებს გადაწყვეტილების მარწმუნებელ ძალას და ამცირებს წნეხის რისკს კოლეგიის თითოეულ წევრზე.“ [158]

ქმედება, რომელიც არღვევს თანასწორობის პრინციპს

თანასწორობა ბანგალორის პრინციპებით გათვალისწინებული მე-5 ღირებულებაა.[159] „სასამართლო სხდომის ყველა მხარესთან თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მოსამართლის მიერ მოვალეობათა შესრულებისას“. [160]

„მოსამართლეს უნდა ესმოდეს, რომ საზოგადოება მრავალფეროვანია და აცნობიერებდეს იმ განსხვავებებს, რომელთა წარმოშობის წყაროებიც სხვადასხვაგვარია, მათ შორისაა: რასობრივი კუთვნილება, კანის ფერი, სქესი, რელიგია, ეროვნული წარმომავლობა, კასტა, შრომისუუნარობა, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა მსგავსი მიზეზები („რომლებიც არ ეხება საქმის გარემოებებს“). [161]

„(თანასწორობის უზრუნველყოფა) მოსამართლის ქცევის ის აუცილებელი თვისებაა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მოსამართლის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას, მაგალითად: მოსამართლე, რომელსაც სწორი გადაწყვეტილება გამოაქვს, მაგრამ, ამასთან, სტერეოტიპულ დამოკიდებულებას იჩენს რომელიმე საკითხის მიმართ, მიკერძოებულია ან ასეთად აღიქმება“. მოსამართლე არ უნდა ექცეოდეს სტერეოტიპების მითებისა და წინასწარგანწყობების გავლენის ქვეშ და ყველა ღონე უნდა იხმაროს მათ სათანადოდ ამოსაცნობად და დასაძლევად. [162]

---

[157] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 4.10; გვ. 38.

[158] Gerhard Reisner, CoE Expert, notes on the grounds to establish disciplinary misconduct of a judge, Article 75-1 clause 8 Organic Law on Common Courts, drafted in the framework of the Council of Europe´s Project “Strengthening the Independence and Efficiency of the Justice System in Georgia,” p.13.

[159] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, გვ. 40.

[160] იქვე.

[161] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 5.1. გვ. 40.

[162] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 184, გვ. 173.

6. სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით [163]

„მოსამართლემ სამოსამართლო მოვალეობათა შესრულებისას არც სიტყვით, არც ქცევით არ უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მიკერძოება ან წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება, რომლის მიზეზებიც საქმის გარემოებებს არ ეხება“. [164]

„მოსამართლე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში როგორც ქალების, ისე კაცებისათვის“. ეს წესი ეხება მოსამართლის ურთიერთობას სასამართლო პროცესის მონაწილეებთან, მათ შორის ადვოკატებსა და სასამართლოს თანამშრომლებთან.

დაუშვებელია მოსამართლის მიერ კნინობითი სიტყვების გამოყენება და ისეთი შინაარსის კომენტარების გაკეთება ქალის ჩაცმულობისა და გარეგნობის შესახებ, რის უფლებასაც თავს არ მისცემდა მამაკაცის მიმართ. ეს შეიძლება შეფასდეს როგორც სექსუალური შევიწროების მცდელობა. მოსამართლემ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს ადვოკატის შესაძლებლობანი იმის გამო, რომ ის ქალია. მაგალითად: „ეს განცხადება აშკარად ქალმა შეადგინა“, ,,ქალისთვის ასეთ საკითხში გარკვევა ძნელია“. [165]

მოსამართლის ქმედებანი და სიტყვები პროცესის ყველა მონაწილისადმი ყოველთვის თანასწორ მოპყრობას უნდა გამოხატავდეს. მოსამართლის ქცევა ობიექტურ დამკვირვებელს უნდა განუმტკიცებდეს რწმენას, რომ ის არ არის ნაკარნახევი რასობრივი, კულტურული, გენდერული ან სხვა სტერეოტიპებით და სასამართლო განხილვაში მონაწილე პირები თანაბარი პატივისცემითა და მათი ინტერესებისადმი თანაბარი ყურადღებით სარგებლობენ. მოსამართლე განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეპყროს სიტყვებს, რომ ისინი არ შეიცავდეს დისკრიმინაციულ შინაარსს, თუნდაც უნებურად, უმცირესობათა ჯგუფებისათვის. [166]

სწორედ მოსამართლემ უნდა შექმნას თანასწორი გარემო სასამართლოში, სადაც „(სასამართლოში) მყოფი ყველა პირი დაცული და დაზღვეულია მიკერძოებისა და

---

[163] „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე.ა.“ ქვეპუნქტი.
[164] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 5.2. გვ.40.
[165] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 185, გვ. 173.
[166] იქვე. პუნქტი 187, გვ. 176.

წინასწარგანწყობის ყოველგვარი გამოვლენისაგან რასობრივი კუთვნილების, სქესის, აღმსარებლობისა თუ სხვა საფუძვლით, რომელთაც არ აქვს საქმესთან კავშირი“. [167]

7. **სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ სასამართლო პროცესის სხვა მონაწილის მიმართ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედების მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია [168]**

„მოსამართლემ განზრახ არ უნდა დაუშვას სასამართლოს თანამშრომლების ან მოსამართლის გავლენის ქვეშ, მის დაქვემდებარებასა თუ ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სხვა პირთა მხრიდან განსახილველ საქმესთან დაკავშირებით რაიმე დიფერენცირებული მიდგომა საქმისაგან განყენებული საფუძვლით ამ პირთა მიმართ.“ [169]

„სასამართლო განხილვაში მონაწილე ადვოკატებისაგან მოსამართლე მოითხოვს, რომ სიტყვით თუ ქცევით თავი შეიკავონ მიკერძოების ან წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისაგან საქმისაგან განყენებულ საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას სასამართლო განხილვის საგნისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება გამართლებული იყოს კანონიერ საფუძველზე“.[170]

მოსამართლე თავის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით უნდა უზრუნველყოფდეს თავისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სასამართლოს თანამშრომლების ისეთ ქცევას, რომელიც თანასწორობის სტანდარტებს შეესაბამება. მოქალაქეებს სასამართლოსთან ურთიერთობისას, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს თანამშრომლებთან უწევთ კომუნიკაცია და შთაბეჭდილებაც მათგან მომდინარე ექმნებათ. „სასამართლოს თანამშრომლების ქცევა უზადო უნდა იყოს“, ისინი თავს უნდა იკავებდნენ ისეთი ქცევისგან, რომელიც არის დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი, ზედმეტად ფამილიარული ან რაიმე სხვა მიზეზის გამო მიუღებელი“. [171]

---

[167] იქვე. პუნქტი 189, გვ. 178.
[168] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ბ.“ ქვეპუნქტი.
[169] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 5.4. გვ. 40.
[170] იქვე. პუნქტი 5.5. გვ. 40.
[171] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 190, გვ. 179.

მოსამართლემ არ უნდა დაუშვას რასისტული, სექსისტური, ჰომოფობიური ან სხვა დისკრიმინაციული დამოკიდებულების დემონსტრირება პროცესის მონაწილის, მათ შორის ადვოკატების, მხრიდან. მოსამართლემ რეაგირება უნდა მოახდინოს ასეთ ფაქტებზე, არ უნდა შეეგუოს უმოქმედობას. ზოგჯერ რეაგირებისთვის ისიც საკმარისია, მოსამართლემ თავაზიანად შეუსწოროს გამომსვლელს სიტყვა ან მიმართოს გაფრთხილებას. [172]

„ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს“

„კომპეტენტურობა და გულმოდგინება მოსამართლის მიერ მოვალეობათა შესრულების აუცილებელი პირობებია.“[173] აღნიშნული წარმოადგენს მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-6 ღირებულებას. [174]

„მოსამართლის სამოსამართლო ფუნქციები აღემატება მის ყველა სხვა სახის საქმიანობას. [175]თავის პროფესიულ საქმიანობას მოსამართლე უძღვნის სამოსამართლო ფუნქციების შესრულებას, რაც მოიცავს არა მხოლოდ სამოსამართლო და თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებას სასამართლო განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანას, არამედ სხვა ამოცანებსაც, რომლებიც მოსამართლის თანამდებობასთან ან სასამართლოს საქმიანობასთან არის დაკავშირებული“.[176]

8. **მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა [177]**

---

[172] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 191, გვ. 180.
[173] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, გვ. 41.
[174] იქვე.
[175] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 6.1, გვ. 41.
[176] იქვე. პუნქტი 6.2, გვ. 41.
[177] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა.“ ქვეპუნქტი.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნა „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების კომპონენტია.[178] „დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმას უდრის“.[179] მიუხედავად სამართალწარმოების საბოლოო შედეგისა, გაჭიანურება მას არაეფექტიანს ხდის.[180]

„მოსამართლე თავის ყველა მოვალეობას, გადაწყვეტილებათა გამოტანის ჩათვლით, ასრულებს გონივრულად, სამართლიანად და საკმაოდ სწრაფად“.[181] მოსამართლემ სათანადო გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს საქმისწარმოების სწრაფად და უმიზეზო გაჭიანურების გარეშე წარმართვისას. მოსამართლე პასუხისმგებელია საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე.[182] თუმცა, რასაკვირველია, მხარეებს არ უნდა დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ პროცესი საქმის გულდასმით და საფუძვლიანად განხილვის გამოა დაჩქარებული. როცა საჭიროა, „მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს აუცილებელი მოთმინება და სიდინჯე“.[183]

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის ვალდებულება მოსამართლისაგან მოითხოვს, თავად იყოს პუნქტუალური სასამართლო სხდომებზე გამოცხადებისას, ვალდებულია, გამოიჩინოს პუნქტუალურობა, სასამართლოს თანამშრომლებისგანაც მოითხოვოს პუნქტუალობა, თვითორგანიზებულობა და მოვალეობების ოპერატიულად შესრულება, პროცესის მონაწილეებს, მათ შორის ადვოკატებს, მოსთხოვოს, განუხრელად დაიცვან წინასწარ შეთანხმებული, საპროცესო კალენდრით გათვალისწინებული თარიღები და დრო. [184]

მოსამართლემ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე უნდა გამოაცხადოს. ასევე. თუკი შესაბამის ობიექტურ გარემოებათა არსებობისას, მაგალითად სასამართლოს გადატვირთულობისას, მოუწევს ამ მოვალეობის შესრულების გადადება, ყოველთვის მხედველობაში უნდა მიიღოს, განსახილველი საქმე, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რამდენად სასწრაფოდაა გადასაწყვეტი და შესაბამისად იმოქმედოს.[185] ასეთ გარემოებათა საკანონმდებლო ჩამონათვალი არასრულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვადის დარღვევა

---

[178] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი; https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0.
[179] ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ *50375/07*; 18.10.2019.
[180] იგივე.
[181] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 6.5., გვ. 41.
[182] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 196, გვ. 184.
[183] იქვე. პუნქტი 207, გვ. 192.
[184] იქვე. პუნქტი 208, გვ.192.
[185] იქვე. პუნქტი 209, გვ. 193.

შეიძლება სხვა მიზეზითაც საპატიო აღმოჩნდეს, თუკი ის მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებას წარმოადგენს.

მოსამართლემ სამართალწარმოება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით უნდა წარმართოს. პროცესის მხარეებსა და ადვოკატებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, შეკითხვები დასვან მიმდინარე საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადის შესახებ და მიიღონ ზუსტი ინფორმაცია. ადვოკატებს უნდა ჰქონდეთ ეფექტური გასაჩივრების საშუალება, თუ პროცესი უმიზეზოდ ჭიანურდება ან დაყოვნება რომელიმე მხარეს ზიანს აყენებს. [186]

აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს არა მარტო საქმის განხილვის საერთო ვადის, არამედ ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად განსაზღვრული ვადების დარღვევის გამო. ასევე მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად აუცილებელია, ვადა არასაპატიო მიზეზით ჰქონდეს დარღვეული. მოსამართლის გადატვირთულობა საქმეთა სიმრავლის გამო და პროცესის გახანგრძლივება, რაც საქმის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საკითხების სირთულემ განაპირობა, გაჭიანურების გასამართლებელ გარემოებებად მიიჩნევა.

9. მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა [187]

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს შეურაცხმყოფელი და უადგილო შენიშვნებისაგან პროცესის მონაწილეების, მათ შორის ადვოკატების, მიმართ. მოსამართლემ მათთან კომუნიკაციისას არ უნდა გამოავლინოს მოუთმენლობა და გაბრაზება. [188]

„სწორედ მოსამართლე იძლევა ტონს და ქმნის სასამართლოში ატმოსფეროს, რომელიც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვისათვის“. სასამართლოში მყოფ ყველა პირს უფლება აქვს, მოელოდეს ისეთ მოპყრობას, რომელიც მისი ღირსებისა და ძირითადი უფლებების პატივისცემას ეფუძნება. [189]

---

[186] იქვე. პუნქტი 210, გვ. 193.
[187] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ .ბ.“.
[188] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 62, გვ. 95.
[189] იქვე. პუნქტი 189, გვ. 178.

„მოსამართლემ შენიშვნები ფრთხილად და თავაზიანად უნდა გამოთქვას“, პროცესის მსვლელობისას ან განაჩენის გამოცხადებისას მოსამართლემ მსჯავრდებული შეურაცხმყოფელი სიტყვებით არ უნდა „შეამკოს“. მას შეუძლია აღშფოთება გამოთქვას ჩადენილი მძიმე დანაშაულის გამო, მაგრამ ემოციები კონსტრუქციულად და თავშეკავებულად უნდა გამოხატოს – ისე, რომ ბრალდებული არ შეურაცხყოს. მოსამართლის მიერ პროცესის მონაწილის ღირსების შელახვას შეუძლია მოსამართლის მაღალი თანამდებობის უმთავრესი საფუძვლებისა და ავტორიტეტის შერყევა. [190]

მაშინაც კი, თუ ადვოკატის არაკორექტული ქცევა მოსამართლის პროვოცირებას ისახავს მიზნად, მოსამართლემ უნდა შეძლოს საკუთარი ბრაზისა და გაღიზიანების მოთოკვა. მოსამართლემ არასდროს არ უნდა გამოიყენოს ადვოკატის პიროვნების ან მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ სარკაზმი, დამცინავი ან დასაკნინებელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა. დაუშვებელია, რომ მოსამართლის ქცევა ან სიტყვა გამოხატავდეს ისეთ დამოკიდებულებას პროცესის მონაწილის მიმართ, რომელიც არ გამოხატავს მისი ღირსების პატივისცემას.[191]

მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს პროცესის მონაწილეებისგან ერთმანეთის მიმართ. ქცევის ამ სტანდარტს მოსამართლე სასამართლოს თანამშრომლებთან ურთიერთობისას უნდა იცავდეს როგორც სხდომაზე, ასევე მის გარეთ. აგრეთვე, თუკი სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილემ გამოიჩინა უპატივცემლობა მეორე მონაწილის მიმართ, მოსამართლე ვალდებულია, აღკვეთოს და, საჭიროების შესაბამისად, მიიღოს რეაგირების სხვა ზომები. [192]

„მოსამართლე წესრიგსა და ეტიკეტს იცავს სასამართლო განხილვის ყოველი მსვლელობისას და მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად ექცევა სასამართლო სხდომის მხარეებს, ნაფიც მსაჯულებს, მოწმეებს, ადვოკატებსა და სხვა პირთ, რომლებსაც მოსამართლე ოფიციალური სტატუსის მიხედვით მიმართავს. მოსამართლემ ასეთივე ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და მოსამართლის დაქვემდებარებასა თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სხვა პირებს“.[193]

---

[190] იქვე. პუნქტი 188, გვ.176-177.
[191] იქვე. პუნქტები 214 -215, გვ. 196.
[192] იქვე. პუნქტი 215, გვ. 196.
[193] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, პუნქტი 6.6, გვ. 41.

უპატივცემულობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც ვერბალური ფორმით – ზეპირად და წერილობით, სიტყვებით ან ხმებით, ასევე არავერბალურად – სახის გამომეტყველებით, ხელის მოძრაობებით ან სიმბოლოებით.

10. **სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია** [194]

თუკი მოსამართლისთვის ცნობილი გახდა სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონდარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, ის ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც მოსამართლეს მოეთხოვება, ამ პირთან კომუნიკაცია და დარღვევაზე მითითებაა. სხვა მოსალოდნელი ქმედება, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შესაბამისი ორგანოსთვის დარღვევის ფაქტის შეტყობინებაა: თუ მოსამართლეა – დისციპლინური ორგანოსთვის, ხოლო თუ ადვოკატია – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისთვის და სხვ. მოსამართლემ ყველა კერძო შემთხვევაში რეაგირების ზომა საქმის ინდივიდუალურ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს. [195]

11. **მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება** [196]

   საქართველოს საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელების უფლებამოსილებანი განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

---

[194] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ.“ ქვეპუნქტი.

[195] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 218, გვ. 197-198.

[196] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ. დ.“ ქვეპუნქტი.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციები: [197]

- საერთო ხელმძღვანელობას უწევს უზენაესი სასამართლოს საქმიანობას;
- შეიძლება იყოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე;
- უძღვება უზენაესი სასამართლოს პლენუმისა და დიდი პალატის სხდომებს;
- საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს პალატების სხდომებს;
- საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის ზოგად საკითხებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების განმახორციელებელი სასამართლო ხელისუფლების სახელით წარმართავს ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და მოსახლეობასთან;
- წარმართავს უზენაესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;
- იღებს გადაწყვეტილებებს უზენაესი სასამართლოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნისა (სამსახურში მიღებისა) და თანამდებობიდან გათავისუფლების (სამსახურიდან დათხოვნის) შესახებ;
- განსაზღვრავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეს, რომელიც გასცემს ბრძანებას „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების თაობაზე;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

უზენაესი სასამართლოს პალატის თავმჯდომარის ფუნქციები [198]

- უზენაეს სასამართლოში იქმნება სამოქალაქო საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, დიდი პალატა, სადისციპლინო პალატა, საკვალიფიკაციო პალატა; [199]
- უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეები (გარდა სადისციპლინო და საკვალიფიკაციო პალატების თავმჯდომარეებისა) იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები [200]

[197] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი.
[198] იქვე. მე-20 მუხლი.
[199] იქვე. მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტი.
[200] იქვე. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი.

- უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს. [201]
- უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა განიხილავს საჩივარს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით ან უვადოდ განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე; [202]
- უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განიხილავს საჩივარს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებზე. [203]

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარის ფუნქციები: [204]

- ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;
- იღებს გადაწყვეტილებებს სასამართლოს მენეჯერის, სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსის, სასამართლოს მანდატურის, მოსამართლის თანაშემწისა და სასამართლო სხდომის მდივნის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;
- სასამართლოს მენეჯერსა და სასამართლოს აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებს უფარდებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;
- უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და განზოგადების მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადას, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ

[201] იქვე. მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტი.
[202] იქვე. 19 [1] მუხლის 1-ელი პუნქტი.
[203] იქვე. მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი.
[204] იქვე. 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად;
- უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას;
- უფლებამოსილია სასამართლო სხდომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობაში ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნის შეტანის აკრძალვა;
- უფლებამოსილია, დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა;
- სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლისას უფლებამოსილია, წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებანი.

სააპელაციო და საქალაქო (რაიონული) სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეთა ფუნქციები:

- სააპელაციო სასამართლოში იქმნება: სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, საგამოძიებო კოლეგია; [205]
- შესაძლებელია სასამართლო კოლეგიების შექმნა რაიონულ სასამართლოში; [206]
- სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას მისივე დავალებით ასრულებს სასამართლო კოლეგიის ერთ-ერთი თავმჯდომარე; [207]
- საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საქმეებს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია. [208]

---

[205] იქვე. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[206] იქვე. 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტი.
[207] იქვე. 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
[208] იქვე. 75 [17] მუხლი.

აღნიშნული საფუძვლით დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს შესაბამისი ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე მოსამართლის მიერ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურებრივი ფუნქციის შეუსრულებლობა, თუკი ის შეესაბამება დისციპლინური გადაცდომისთვის დადგენილ ზოგად წესს: არის ბრალეული ქმედება, განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი, მოსამართლეს ობიექტურად შეეძლო მის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის. მაგალითად სასამართლოს თავმჯდომარემ სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლა სასამართლო აპარატის საჯარო მოსამსახურე ან საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ განზოგადებული ინფორმაცია არ წარუდგინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; ან არ მიიღო ზომები საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად, ან არ უზრუნველყო სასამართლოში წესრიგის დაცვა; მისი არყოფნისას სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარემ არ შეასრულა თავმჯდომარის მოვალეობები; საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარემ არ უზრუნველყო პალატის მიერ მის წარმოებაში არსებული საჩივრის განხილვა და სხვ.

12. მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას) [209]

„მოსამართლის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მისი თანამდებობის მაღალ სტატუსს. [210] მას მოეთხოვება ქცევის უფრო მაღალი სტანდარტის დაცვა, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეს. [211] მოსამართლის ქცევის კორექტულობის შეფასების ერთადერთი საზომი არ არის მისი კანონიერება.[212]მოსამართლის ცხოვრების წესი როგორც სამსახურში, ისე მის გარეთ სამაგალითო უნდა იყოს. [213]„მოსამართლის შეუფერებელი ქცევის ერთმა შემთხვევამაც კი შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სასამართლოს

[209] იქვე. 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.
[210] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 4.2. გვ. 38.
[211] იქვე. პუნქტი 15, გვ.56 (Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, addressing the National Judicial Orientation Programme, Wollongong, Austrsalia, 13 October 1996).
[212] იქვე. გვ. 129.
[213] იქვე. გვ. 129.

ავტორიტეტს“,[214] მაგალითად, მოსამართლის მიერ მანქანის მართვამ არაფხიზელ მდგომარეობაში. [215]

მოსამართლისთვის ამ მუხლით დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს ის ფაქტი, რომ მან ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება და ამისთვის დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი.

„მორალური სტანდარტები და მათი დარღვევა პირადსა და პროფესიულ ცხოვრებაში დამოკიდებულია შესაბამისი საზოგადოების აღქმაზე. ეს ეხება ამ დისციპლინურ გადაცდომასაც. არსებობს არაერთი ისეთი ნორმა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ განხილვა, გამოხატავს თუ არა მოსამართლის ქცევა სოციალური და მორალური ნორმების პატივისცემას და არსებობს თუ არა საფუძველი დისციპლინური გამოძიებისთვის. ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, გამაღიზიანებელი საჯარო განცხადებები, ჩაცმულობის გარკვეული სტილი, ზოგ ადგილას სტუმრობა, ქორწინების მიღმა ურთიერთობა არის ამ გადაცდომის შესაძლო მაგალითები“. [216]

ასევე გასათვალისწინებელია, საქციელი კერძო თუ საჯარო სივრცეშია ჩადენილი, ქცევა გამონაკლისი და ერთჯერადი ხასიათისაა თუ ჩვევა ან მიდრეკილება ვლინდება, ასევე საგულისხმოა, ქცევა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, აყენებს თუ არა ეჭვქვეშ მოსამართლის უნარს, განახორციელოს სამოსამართლო საქმიანობა. [217]

---

[214] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 15, გვ .55 (Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, addressing the National Judicial Orientation Programme, Wollongong, Austrsalia, 13 October 1996.)

[215] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები, პუნქტი 15, გვ. 55 (Sir Gerard Brennan, Chief Justice of Australia, addressing the National Judicial Orientation Programme, Wollongong, Australia, 13 October 1996.)

[216] Gerhard Reisner, COE Expert, notes on the grounds to establish disciplinary misconduct of a judge, Article 75-1 clause 8 Organic Law on Common Courts, drafted in the framework of the Council of Europe´s Project “Strengthening the Independence and Efficiency of the Justice System in Georgia,” p.19.

[217] იქვე.